645
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1981 წ.

LSSN 0321-1569

ЗНАК ПОЧЕТА



ქუთაისი. ახალი საცხოვრებელი სახლი გორკის ქუჩაზე.

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ოქტომბრის რევოლუციის 64-ე წლისთავი

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა




# მშვიდობისათვის!

80-იანი წლების დასაწყისი საერთაშორისო ვითარების მწვავე გაუარესებით ხასიათდება. აგრესიულად განწყობილი მილიტარისტული წრეები ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით, უმაგალითო მასშტაბის გამალებულ შეიარაღებას რომ ეწევიან, აშკარად დაადგნენ კურსს, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელების ძირის გამოთხრა და „ცივი ომის“ აღორძინება, გამალებული შეიარაღების შეკავებისა და სადავო საერთაშორისო პრობლემათა მშვიდობიანი გადაწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებისაგან თავის არიდება.

ნამდვილად კაცობრიობის აბუჩად აგდებაა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის დიდი მასშტაბით წარმოების შესახებ.

საერთაშორისო ვითარების გამწვავების ახლანდელ პირობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა „მსოფლიოს პარლამენტებსა და ხალხებს“ ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ქვეყნად მშვიდობას ესწრაფვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების შენარჩუნება და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა, მხურვალედ ეხმაურებიან და იწონებენ ჩვენი პლანეტის ხალხები.

მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ განუხრელად იზრდება საზოგადოებრიობის უფართოეს წრეებში მშვიდობის იდეათა ზემოქმედება. ომის საწინააღმდეგო მოძრაობა დღენიადაგ ფართოვდება. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა „მშვიდობის მარში-81“, რომლის მონაწილეებმა 6 აგვისტოს პარიზში



დაასრულეს თავიანთი 1200-კილომეტრიანი გზა. „არ გვინდა თერმობირთვული იარაღი ევროპაში!“ — ამ ლოზუნგით წარიმართა მარში, რომელმაც სტარტი აიღო 22 ივნისს კოპენჰაგენში ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით .

მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობს საერთაშორისო ქალთა მოძრაობის საქმიანობა. დედები ვერ იქნებიან გულგრილნი თავიანთი შვილების ბედისადმი, მომავალ თაობათა ბედისადმი. მშვიდობის დაცვა, ნატოს ავბედითი გეგმების ჩაფუშვა, მტკიცე პროტესტი გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ — აი, რა მიზნები აერთიანებს დღეს მსოფლიოს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ქალს.



მთელი მსოფლიოს ქალებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას.

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტმა მიმართვის ტექსტი გაუგზავნა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, 25 ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციას, აგრეთვე მსოფლიოს 56 ქვეყნის 126 ეროვნულ ორგანიზაციას.

მიმართვა გაეგზავნა რამდენიმე ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, აგრეთვე გავრცელდა „მშვიდობის მარში — 81“-ის მონაწილეთა შორის.

მიმართვის პასუხად საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტში მოდის სხვადასხვა ორგანიზაციის გამოხმაურებები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება ამ უაღრესად აქტუალური დოკუმენტის მხარდასაჭერად.

ბავშვებთან მუშაობის ეროვნული კომისიების ხელმძღვანელთა საერთაშორისო შეხვედრაზე, რომელიც 1981 წლის ივნისის დამლევს გაიმართა სოფიაში, გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრიდა ბრაუნმა** თქვა: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა „მსოფლიოს პარლამენტებსა და ხალხებს“ იმ დღეებში გამოქვეყნდა, როცა საბჭოთა კავშირზე ნაცისტთა თავდასხმის 40 წელი შესრულდა. მთელი მსოფლიო უნდა გამოეხმაუროს ამ მიმართვას. იგი აუცილებლად სწვდება თითოეული ქალის გულს. მსოფლიოში არასოდეს არ ყოფილა ასეთი დაძაბული ვითარება. ჩვენ, ქალები, ვცხოვრობთ მუდმივი შიშით, ვაითუ ატყდეს ბირთვული ომი, რომელსაც საშინელი შედეგები მოჰყვება. მსოფლიოს ქალებმა უნდა მოუწოდონ მთავრობებს — გამოეხმაურონ ამ მოწოდებას მშვიდობისა და ბავშვთა ბედნიერი მომავლის საკეთილდღეოდ“.

**მატინა პონაიოტპულუ** — სრულიად საბერძნეთის ბავშვთა უფლებების დაცვის კავშირის მთავარი მდივანი, ბერძენ ქალთა ფედერაციის საპატიო თავმჯდომარე:

— რომელი ჭკუათმყოფელი, რომელი პროგრესული ადამიანი, რომელი საღად მოაზროვნე კაცი არ მოიწონებს მშვიდობიანი გზით დავის გადაწყვეტის იდეას, რომელიც საფუძვლად უდევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას!..

როგორც ქალი და დედა, მსოფლიოს ყველა ქალს, ყველა დედას მოვუწოდებ მოიწონოს ეს მიმართვა და კიდევ უფრო ენერგიულად ჩაებას მშვიდობისათვის, ბავშვების, დედამიწის ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ ჩემი ქვეყნის ქალთა და ბავშვთა შორის მუშაობას, რათა ხორცი შეესხას მიმართვაში ასახულ იდეებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის.

**ოილი მარტიმო** — ფინეთის ქალთა დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი:

— ჩვენი ორგანიზაციის რეზოლუციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს. დიდად შეშფოთებული ვართ, რომ იქმნება მასობრივი მოსპობის იარაღი. მე ამაღელვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ, რომელშიც ნათქვამია, რომ დიალოგი და მოლაპარაკება სჭირდება ყველას, რათა ვიცხოვროთ მშვიადობიანად, უშიშროების პირობებში და მომავლის რწმენით. დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობიანი გზით ყველა სადავო საკითხის გადაჭრა შეიძლება.

**ლუსი ბეჯენა** — ინგლისის მშვიდობისათვის მებრძოლ დედათა ორგანიზაციის წევრი:

— მიმართვა შეესაბამება მშვიდობისადმი ჩემს მისწრაფებას. მიმართვის არგუმენტები ფრიად დამაჯერებელია, მაგრამ, იცით, რა მაოცებს? ის, რომ ბევრ მთავრობას, მათ შორის ჩემს საკუთარ მთავრობას, რომელსაც მარგარეტ ტეტჩერი უდგას სათავეში, იგი არ მიაჩნია დამაჯერებლად. თუმცა მშვიდობის მომხრეთა მზარდი მოძრაობა იმედს გვისახავს. რა თქმა უნდა, მიმართვას გავაცნობ ჩვენი ორგანიზაციის წევრებს და პრესას.

**მადაგასკარის** სოლიდარობის კომიტეტის ქალთა და ბავშვთა უფლებების მუდმივი კომისიის გენერალური მდივანი წერს, რომ მალაგასიელმა ქალებმა მხურვალედ მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა. ეს დოკუმენტი დედამიწის ხალხთა შეშფოთებას ასახავს, იმის გამო შეშფოთებას, რომ ომის გამჩაღებლები უპასუხისმგებლოდ მოქმედებენ და ამ ბოლო დროს მსოფლიოში სერიოზულად გამწვავდა დაძაბულობა.

**ჩანსი ლატსამი** — ლაოსის პატრიოტ ქალთა ასოციაციის წევრი:

— ლაოსის პატრიოტ ქალთა ასოციაცია, რომელიც ლაოსელ ქალთა ნებას გამოხატავს, სავსებით უჭერს მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას „მსოფლიოს პარლამენტებსა და ხალხებს“.

ეს დოკუმენტი ქვეყნად მშვიდობიანი აწმყოსა და მომავლისათვის დიდი და გულწრფელი ზრუნვით არის განმსჭვალული. იგი ადამიანთა ყველაზე სანუკვარ მისწრაფებებს შეესაბამება. მშვიდობა კაცობრიობის საერთო მონაპოვარია და მის შესანარჩუნებლად საზოგადოებრიობის, ყველა მთავრობისა და ხალხთა ერთობლივი მოქმედებაა საჭირო.



**არუნა ასაფალი** — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ლენინური პრემიის ლაურეატი, ინდოელ ქალთა ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა განსაკუთრებული დოკუმენტია, რომელშიც საბჭოთა პარლამენტარები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სახელით მშვიდობისადმი უდიდეს მისწრაფებას გამოხატავენ. იგი მოწმობს, რომ უბრალო ადამიანებს სწამთ — შესაძლებელია გამარჯვება იმათზე, ვინც უგულებელყოფს ბირთვული ომის დამღუპველ შედეგებს. ჩვენ, ინდოელები, მივესალმებით მიმართვას, იგი შეესატყვისება ინდოელ ხალხთა რწმენას, რომ მშვიდობა წმიდათაწმიდაა ყველასათვის, რადგან, მშვიდობა თუ არ იქნა, სიცოცხლეც მოისპობა დედამიწაზე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# საუბარი საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატთან გულნარა ჩაფიძესთან

საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო დღეები კიდევ უფრო მშვენიერი გახდა იმ უამრავი ჯილდოთი, რომლებიც რესპუბლიკის სახელოვანმა ადამიანებმა დაიმსახურეს. სწორედ მაშინ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებაც, რომ ქართველი კარდიოლოგების ჯგუფს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ჟურნალისტი შუქურა კოტრიკაძე შეხვდა ამ ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, გულნარა ჩაფიძეს და ესაუბრა იმ პრობლემათა შესახებ, რომელთა დამუშავებას ესოდენ მაღალი შეფასება ხვდა წილად. გთავაზობთ გულნარა ჩაფიძის საუბარს.

ძნელია იმ მადლიერებისა და სიხარულის გამოხატვა, რომელიც საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის იუბილეს დღეებში ქართველი კარდიოლოგების ღვაწლის დიდმა აღიარებამ მოგვანიჭა.

პარტიისა და მთავრობის, საბჭოთა ადამიანებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისადმი შეუნელებელმა ყურადღებამ ხელი შეგვიწყო ჩავწვდომოდით მედიცინის ზოგიერთ ურთულეს პრობლემას.

კარდიოლოგების კვლევის ობიექტი ადამიანის ორგანიზმის ყველაზე რთული მექანიზმი — გულია. მოგეხსენებათ, გულის კუნთის ინფარქტი საკმაოდ მძიმე დაავადებაა. ამიტომაც იგი სამედიცინო საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგას. ასეა ჩვენთანაც — საქართველოშიც. 1966 წლიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის ინფარქტის განყოფილება, რომელიც ინფარქტის ერთ-ერთი ცენტრი გახლავთ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. დაარსებიდან ხუთი წლის შემდეგ მას შემოემატა ი. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი და ექიმთა დახელოვნების კათედრა, რომლებიც მრავალი წელია მიოკარდიუმის ინფარქტის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებზე მუშაობენ.

ამ სამი ძირითადი ცენტრის სპეციალისტებმა დაამუშავეს მიოკარდიუმის ინფარქტის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, შევიმუშავეთ ამ დაავადების ეტაპური მკურნალობის, რიტმის დარღვევის წინააღმდეგ პროფილაქტიკის, დიფერენცირებული მკუ-

რნალობის სხვადასხვა მეთოდი: დაავადების მიმდინარეობის, ავადმყოფის ასაკისა და დაზიანების კერის გათვალისწინებით, შევისწავლეთ მისი მიმდინარეობისა და გამოსავლის მათემატიკური პროგნოზი. მეცნიერ კარდიოლოგთა ამ ჯგუფის მიერ ინფარქტით დაავადებულთათვის აპრობირებულია სხვადასხვა ეფექტური მედიკამენტი. მეცნიერულად დამუშავებული ყველა ეს მეთოდი პრაქტიკაში დაინერგა, რამაც შესაძლებელი გახადა მიოკარდიუმის ინფარქტით დაავადებულთა სიკვდილიანობის მნიშვნელოვნად შემცირება. ამ პრობლემებზე მომუშავე ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში, ჩემთან ერთად, შედიოდნენ: კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ყიფშიძე, ი. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ქავთარაძე, ექიმთა დახელოვნების კათედრის გამგე, პროფესორი გ. ცინცაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი კ. იოსავა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. მეგრელაძე, კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის ინფარქტის განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკი ს. კაპანაძე, მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.



მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. ქავთარაძე, კ. იოსავა, გ. ჩაფიძე, ს. კაპანაძე, ნ. ყიფშიძე.

კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის მიოკარდიუმის ინფარქტის განყოფილების არსებობის 15 წლის მანძილზე განყოფილების მუშაკებმა დაამუშავეს და გამოაქვეყნეს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გულის იშემიური დაავადებებისადმი, მათ შორის, მიოკარდიუმის ინფარქტის შესწავლის, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისადმია მიძღვნილი. აქედან ორმოცი ნაშრომი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო-სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა.

ქართველი კარდიოლოგების სამეცნიერო გამოკვლევებს იცნობენ და აღიარებენ ამერიკაში, ჰოლანდიაში, გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში. მონაწილეობა მივიღეთ ამსტერდამში, ბუდაპეშტში, ლიუბლიანაში და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ საერთაშორისო კონგრესებში. მსოფლიოს თვალსაჩინო სპეციალისტებთან სამეცნიერო ერთობლივი თანამშრომლობა მედიცინის წინაშე მდგარი რთული პრობლემური საკითხების მაღალ, მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტის მეტ შესაძლებლობას გვაძლევს.

დიდი კონტაქტები დავამყარეთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გამოჩენილ კარდიოლოგებთან, მათთან ერთად მუშავდება იშემიური დაავადების მკურნალობის საკითხები, ერთ-ერთი შრომა კი გადაიქცევა საკვალიფიკაციო შრომად.

სამეცნიერო კვლევისათვის ყველაზე საუკეთესო პირობებს მაინც ჩვენი მშობლიური ქალაქის ინფარქტის ცენტრებში არსებული ბაზა გვიქმნის. ჩვენი კლინიკები აღჭურვილია უნიკალური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით, მედიკამენტებით. გვყავს კვალიფიციური ექიმები, სამეცნიერო პერსონალი. მარტო ინტენსიური მეთვალყურეობის პალატას, რომელშიც 15 საწოლია 5 ექიმი და 6 ექთანი ემსახურება. თითოეული მათგანი ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს, რომ განყოფილებამ მეცნიერული პრობლემების წარმატებით გადაჭრაში მეტ ეფექტს მიაღწიოს.

ამჟამად ჩვენი ინსტიტუტის ინფარქტის განყოფილება ორ დიდ პრობლემაზე მუშაობს: გულის მწვავე უკმარისობის მკურნალობა ინფარქტის დროს და დაზიანების კერის შემცირება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„სოციალურ ამოცანათა შორის არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის“, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ჩვენც, ქართველი მეცნიერები ცოდნას, ენერგიას, მთელს შესაძლებლობას სწორედ ამ უდიდესი მისიის განხორციელებას ვახმართ, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს ადამიანის ყველაზე რთულ მექანიზმთან — გულთან.

* * *

**ეს წერილი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როცა კიდევ ერთი დაჯილდოება შევიტყვეთ — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გულნარა ჩაფიძე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.**

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთელი შემოქმედებითი კოლექტივი დიდად გაახარა ღვაწლმოსილი, ავტორიტეტული, ყველასათვის საყვარელი, კარგი მოქალაქისა და ჭკვიანი, გულისხმიერი მკურნალის ასეთმა აღიარებამ. ვულოცავთ მას ყველა ჯილდოს და ვუსურვებთ მორიგ შემოქმედებით წარმატებებს. მას ხომ ქვეყნად ყველაზე სათუთი რამ — გული აბარია!**

ელექტრონული ბიბლიოთეკა





# სიმღერები, სიმღერები...

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი მერი დავითაშვილი საბჭოთა ეპოქაში აღზრდილი და პროფესიულად დაოსტატებული ხელოვანია, რომლის სახელთან დაკავშირებულია ეროვნული საბავშვო მუსიკის ახალი აღმავლობა. მ. დავითაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული საბავშვო მუსიკის განვითარებაში.

მ. დავითაშვილმა სპეციფიკური საბავშვო სახეების გამოკვეთის დიდი უნარი გამოიჩინა, გამონახა პატარებისათვის მისაწვდომი მუსიკალური ენა, ენა დაფუძნებული ღრმა ეროვნულობასა და ორიგინალობაზე; ამასთანავე, გააღრმავა და უფრო მრავალფეროვანი გახადა ქართული საბავშვო მუსიკის თემატიკა. კომპოზიტორს კარგად ესმის ბავშვის ბუნება, ღრმად გრძნობს მას, მთელი სისავსით სწვდება პატარების სამყაროს და ბუნებრივადაც გამოხატავს. დავითაშვილის სიმღერები ნორჩებს უნერგავს სიკეთის გრძნობას, მომავლის რწმენას, ასწავლის მეგობრობას, სიყვარულს, შრომისმოყვარეობას... ამ სიმღერებზე მრავალი თაობა აღიზარდა და იზრდება დღესაც.

40-იანი წლების მიწურულს უკავშირდება მ. დავითაშვილის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები. მაყვალა მრევლიშვილის ლექსებზე შექმნილმა სიმღერათა ციკლებმა („დილა მშვიდობისა“, „სათამაშოების სიმღერები“), განსაზღვრა კომპოზიტორის შემდგომი მოღვაწეობა ამ ჟანრში.

„პოეტის სხარტმა ჩანახატებმა მაგრძნობინა ის უბრალოება და სისადავე, ბუნებრიობა და გამომგონებლობა, რომლითაც ბავშვები აშენებენ თავიანთ მზიანსა და პოეტურ სამყაროს. ამ ლექსებმა მომიტანა პირველი შემოქმედებითი წარმატება საბავშვო მუსიკის სფეროში, რომელიც ჩემთვის ესოდენ საყვარელი და მახლობელი გახდა“, — ამბობს კომპოზიტორი. და მართლაც, ამ სიმღერებთან არის დაკავშირებული მ. დავითაშვილის პირველი შემოქმედებითი წარმატება, პირველი შემოქმედებითი სიხარული... პირველ წარმატებას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ასე გრძელდება დღემდე. გრძელდება ის სიყვარულიც, რაც კომპოზიტორის პირველივე სიმღერებმა დაიმსახურა ამ 30-ი წლის წინათ.

აღნიშნული ციკლები ნაირსახეობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თითოეული სიმღერა მშვენიერი ჩანახატია; როგორც კომპოზიტორი ა. ბუკია ამბობდა, „მ. დავითაშვილის ამ სიმღერებში ჩვენ დავინახეთ ბავშვის ბუნების, მისი სამყაროს წარმოსახვის ახლებური მიდგომა. ამ სიმღერებმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, თავისი მხატვრული სახეებით, ამ სახეების ჩვენებისათვის მიგნებული რიტმული და ინტონაციური სიახლეებით, რაც არა მარტო ვოკალით, არამედ საფორტეპიანო თანხლებითაც გამოიხატა“.

ბავშვთა სამყაროსადმი სწორედ ამ ახალმა მიდგომამ და ბავშვებისათვის საოცრად შესატყვისმა მხატვრულმა სახეებმა, შეაყვარა პატარებს სიმღერები. მანვე განსაზღვრა მ. დავითაშვილისათვის „ბავშვების საყვარელი კომპოზიტორის“ წოდება.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მ. დავითაშვილი დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს ვოკალური ჟანრებისადმი, წერს სოლო თუ საგუნდო სიმღერებს, წერს, როგორც საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის, ისე უფროსი თაობის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. ამას მოწმობს მომ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დევნო პერიოდში შექმნილი მისი ვოკალური ციკლები და კრებულები: „ვიმღეროთ ერთად“, „მზის ამოსვლას ვეგებებით“, „მზემ წითლად ამოანათა“, „პიონერული სიმღერები“, „საახალწლო“, „ანაო, ანა-ბანაო“, „თოჯინები მღერიან“, „ცხრათვალა მზე“. მ. დავითაშვილს სიმღერები დაწერილი აქვს ვაჟა ფშაველას, მარიჯანის, მაყვალა მრევლიშვილი, ხუტა ბერულავა, პეტრე გრუზინსკის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილისა და სხვათა ლექსებზეც. დღეს მ. დავითაშვილი 100-მდე საბავშვო სიმღერის ავტორია. აქედან ბევრი სიმღერა პრემირებულია რესპუბლიკურ კონკურსებზე, პრემირებულია აგრეთვე მისი საფორტეპიანო პიესათა ნაწილი.

სიმღერების გარდა, კომპოზიტორმა მოსწავლეთათვის შექმნა „პიონერული სიუიტა“ სიმფონიური ორკესტრისათვის, სიუიტა-მინიატურა საბავშვო სიმფონიური ორკესტრისათვის, საფორტეპიანო პიესები, რომელთაგან განსაკუთრებით პოპულარულია: „სკერცო“, „ხორუმი“, „ნოქტიურნი“, „პრელუდი“. მ. დავითაშვილის ინსტრუმენტული პიესები, მსგავსად მისი სიმღერებისა, ეროვნულობითა და ცოცხალი მხატვრული სახეებით არის აღბეჭდილი, გამართულია პიანისტური თვალსაზრისით და, მხატვრულ ღირსებებთან ერთად, ნორჩ პიანისტთა ტექნიკური მხარის განვითარებასაც ემსახურება.

განსაკუთრებული ნიჭი და ალღო გამოავლინა მ. დავითაშვილმა ნახატი ფილმების მუსიკალური გაფორმების დარგში. რეჟისორ არკადი ხინთიბიძესთან შემოქმედებითი თანამშრომლობით კომპოზიტორმა დაუვიწყარი სახეები შექმნა ვაჟას მოთხრობის „ჩხიკვთა ქორწილის“ მიხედვით. ასევე საინტერესო მუსიკალური ხორცშესხმა პოვა ფილმებმა: „წუნა და წრუწუნამ“, „ნიკო და სიკომ“, „მტრობამ“, „სათაგურმა“, „ნახევარწიწილამ“...

დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა მ. დავითაშვილს აგრეთვე ცნობილ ქართველ რეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან, რომელთან ერთობლივი თანამშრომლობითაც შექმნა ნახატი ფილმები: „რწყილი და ჭიანჭველა“, „ქილა ერბო“ და სხვა. მხატვრული ფილმებიდან კი აღსანიშნავია „მანანა“, რომლის ერთერთმა სიმღერამ („მიყვარს ცეკვა-თამაში“) ეკრანიდან პირდაპირ ხალხში (ბავშვებში) გადაინაცვლა და დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით. მ. დავითაშვილსვე ეკუთვნის თოჯინების თეატრის სპექტაკლების: „ბურატინოს“, „წითელქუდას“, „ვერცხლის სამჭედლოს“, „ნამცეცას“ და სხვათა მუსიკალური გაფორმება.

კომპოზიტორის მხატვრული ინტერესები მარტო მცირე ფორმის ნაწარმოებებით როდი იფარგლება. შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მის ყურადღებას იპყრობს რთული სინთეზური ჟანრი — ოპერა. მუსიკის ენით აამეტყველა მან ბავშვების საყვარელი მოთხრობა — ნიკო ლომოურის „ქაჯანა“ (ლიბრეტო რ. თაბუკაშვილისა. 1965 წ.) და ქართული ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“ (ლიბრეტო — ს. ჭეიშვილისა, 1972 წ.). ამ ოპერების სახით კომპოზიტორმა საყურადღებო ნაწარმოებები შემატა ქართულ საბავშვო მუსიკას, დამაჯერებლად, პროფესიული ოსტატობით წარმოსახა ოპერების პერსონაჟთა მუსიკალური პორტრეტები, მშვენივრად გადმოსცა ნაწარმოებთა იდეა — სიმართლის გამარჯვება, სიკეთის მარადიულობა... და მაინც, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ოპერა „ნაცარქექია“, რომელიც ნორჩებს განსაკუთრებით უყვართ და რომლისთვისაც კომპოზიტორს ახლახანს რუსთაველის პრემია მიენიჭა.

მ. დავითაშვილი კვლავაც ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მუსიკის სფეროში, კვლავაც ქმნის მოზარდთათვის საყვარელ ნაწარმოებებს... იგი წლების განმავლობაში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საბავშვო მუსიკის სექციის თავმჯდომარე, ამჟამად ბავშვთა მუსიკალურ ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარეა და კომპოზიტორთა კავშირის მდივანი; აქტიურად არის ჩაბმული საბავშვო მუსიკის კვირეულებში, კონკურსებსა თუ შემოქმედებითს საღამოებში...

„პატივცემულო მერი შალვას ასულო!

საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტი ულრმეს მადლობას მოგახსენებთ შინაარსიანი მუშაობისათვის, საქართველოში „საბავშვო მუსიკის კვირეულის“ მოწყობაში გაღებული წვლილისათვის. გულითადად გისურვებთ ახალ წარმატებებს მომავალი კვირეულის მომზადებაში. პატივისცემით დ. კაბალევსკი“. მადლობის ბარათები ხშირად მოდის აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან, რაიონიდან... და მ. დავითაშვილიც, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის დახმარების ხელს უწვდის სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებს, მოსწავლეთა კულტურულ დაწესებულებებს, ზრუნავს მომავალი თაობის მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდისათვის, ყურადღებას უთმობს აგრეთვე ნორჩ კომპოზიტორებს. მ. დავითაშვილმა კომპოზიციის ნიჭით დაჯილდოებული ბევრი ბავშვი აღმოაჩინა და დააყენა დიდი მუსიკის გზაზე, აზიარა ჭეშმარიტ ხელოვნებას...

ყველა ქართველი მუსიკოსის სახელით, კოლეგებისა და მეგობრების, ნორჩი თაობის სახელით გულითადად ვულოცავთ ქალბატონ მერის დიდ ჯილდოს — შ. რუსთაველის სახელობის პრემიას და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებითს სიხარულს!

ეთერ ლონდარიძე,
მუსიკათმცოდნე

წელს საქართველოში უხვი ჩაი მოვიდა. მეჩაიეები დარში თუ ავდარში კრეფდნენ მწვანე ფოთოლს და თვლიდნენ კილოგრამობით კი არა, ტონობით.

არის 515 131 ტონა ჩაი, — მოისმა პლანტაციებიდან პატაკი. მეჩაიეებმა ნახევარ მილიონ ტონას ბევრად გადააჭარბეს და წარმატებით შეასრულეს მე-11 ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებანი.

ვულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას ყველა ქართველ მეჩაიეს, ყველა ჭილისქუდიან მკრეფავს, ყველა მექანიზატორ ქალსა თუ კაცს!



# ვულოცავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, „საქართველოს ქალის“ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს — ლია კაკაბაძეს 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალისტური ნათლობა ლიამ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე მიიღო და, როგორც იმედის მომცემმა შემოქმედმა, მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. სულ მალე, 1957 წელს, იგი განახლებული ქალთა ჟურნალის რედაქციაში მიიწვიეს განყოფილების გამგედ და იმ დღიდან მოყოლებული მთელის მონდომებითა და პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. აგერ, თითქმის 24 წელია ჩვენი ქალები (და არა მარტო ქალები) სისტემატურად კითხულობენ ლია კაკაბაძის ნარკვევებს, რეპორტაჟებსა, თუ სხვა ხასიათის წერილებს. ლია განსხვავებული, საკუთარი ხმის მქონე ჟურნალისტია. მისი ნაწერები გამოირჩევა პოეტური სიმსუბუქით, წერის ლამაზი მანერითა და იმ დიდი სიყვარულით, რომლითაც იგი თავის გმირებს მოსავს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც წინამდებარე ნარკვევი, რომელშიც იგი ახერხებს რამდენიმე მხატვრული მონასმით, ლირიკულ ნახევარტონებში ორი თაობის — დედისა და შვილების სევდანარევი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბედნიერი ცხოვრების გადმოცემას.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთელი კოლექტივი, მისი მკითხველები გულითადად ულოცავენ საყვარელ ჟურნალისტს დაბადების 50 წლისთავს და ხანგრძლივ შემოქმედებით დღეგრძელობას უსურვებენ!

ლ. კაკაბაძე

# დილა მშვიდობისა

ნარკვევი

ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, რომ გამოკეტეს კარი. წინ გოგონა მიდიოდა. ათ ნაბიჯზე დედა მისდევდა, კაბაზე უმცროსი გოგონები ეწეოდნენ.

— არ შემომახიოთ, მეტი არაფერი მაქვს, — ახსენებდა დედა გამოუძინებელ ბავშვებს და სულაც არ იხედებოდა უკან...

ქალი თანდათან სცილდებოდა თავის წარსულს — გათხოვებას, სიყვარულს, ბავშვების დაბადებას.

სოფელს არ ეძინა. გზაზე მეზობლები შემოხვდნენ.

— მაინც არ იშლი? გვეგონა არ მოხვიდოდი. მომეცი, მოგეშველო, — უთხრა ახალგაზრდა შავგვრემანმა ქალმა და ბარგი ჩამოართვა.

მეორე, დაბალ-დაბალი მანდილოსანი ჩუმად იდგა. ენანებოდა სამი ბავშვით აბარგებული დედა, იცოდა, აქ როგორ უჭირდათ ცხოვრება და იქ, უცხო მხარეში რა ხეირს ნახავდნენ.

— ავტობუსი იგვიანებს, — იქნებ კიდევ გვეფიქრა... უარეს დღეში არ ჩავცვივდეთ.

— რაც იქნება, იქნება, ყველაფერს გაგაგებინებთ, — თქვა გამოთხოვებისას ქალმა, ბავშვები სასწრაფოდ ავტობუსში აუშვა, გამცილებლები გადაკოცნა და მისი ათრთოლებული ტუჩები რომ არ დაენახათ, მოტრიალდა, სახე გვერდზე მიიბრუნა და თვითონაც გვერდულად შედგა საფეხურზე.

იმ დღეს ერთი ოჯახი დააკლდა ასპინძას. დაუნანებლად, თითქმის უტკივილოდ დარჩა პატარა ქოხი და მეორე დღეს ეს ოჯახი სამეგრელოს შეემატა.

გეგეჭკორის რაიონი, სოფელი დიდი ჭყონი, ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ჯანიკო ლეკიშვილი ახალგაზრდა ჩამოვიდა გეგეჭკორში. ჰაერი ემსუბუქა და თბილი სიო სახეზე რომ მოელამუნა, გაიღიმა. მას თავისი ჯეელობის იმედი ჰქონდა. ეგონა, ხელახლა დაიბადა, ახალი მოზღვავებული ძალა იგრძნო.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მიშა მელუამ დედაშვილის დანახვისას ძმური, კაცური სითბო გამოიჩინა და ყველაფერი გააკეთა მათი გულების გასათბობად. ხელად ოთახი გამოძებნეს, საწოლები დადგეს, ფანჯრები გააღეს და მზე შემოუშვეს, მერე ლამაზი ჩითის ფარდები დაჰკიდეს. ახალმა მეზობლებმა მაგიდას სუფრა გადააფარეს, ცხელი ღომი და სულგუნი შემოდგეს.

— სკოლაც აქვეა და საბავშვო ბაღიც. ბავშვები თვითონაც ივლიან, — ამ სიტყვების გახსენებით ტკბილად ჩაეძინა დაღლილ-დაქანცულ დედას.

მეორე დღეს პლანტაციაში გავიდა. ბავშვებიც თან ახლდნენ. თავზე ჩითის თავშალი ეხურა, დაცხა და მოიხსნა. ვილაცამ ჩაის კრეფა ასწავლა, სათითაოდ დაათვალიერებინა ფოთლები და აუხსნა, რომელი უნდა მოეკრიფა, ვილაცამ კალათი მოურბენინა.

პირველ დღეს ერთი კილოგრამი ძლივს

მოკრიფა. შერცხვა, ვაითუ ცუდი ხარისხისაა, თანაც ასე ცოტააო; ალბათ, არ გამაჩერებენ, უკან გამიშვებენო.

მეორე დღეს სხვებზე ადრე მოვიდა, გოგონას თოჯინა მისცა ხელში და ბუჩქთან დასვა.

— ქუდი ყოველთვის თავზე უნდა გეხუროს, — უთხრა ხანშიშესულმა ქალმა და ჭილის ქუდი გაუწოდა, — კალათი გვერდიდან არ უნდა მოიშორო, აბა, ნახე, როგორ უნდა კრეფა... სისწრაფეს თანდათან გამოიმუშავებ, ხელს რომ გაიწაფავ. პირველად გიჭირს და იმიტომ ეძებ ფოთოლს, თორემ მერე თვალდახუჭულიც მოკრეფ, ხელით იგრძნობ, სად არის მოსაწყვეტი ჩაის ფოთოლი.

ოფლი ასხამდა ჯანიკოს, ამხელა კალათს საღამომდე ვერ გავავსებო, ფიქრობდა, როცა ხედავდა, როგორ ცლიდნენ ქალები კალათებს და ხელახლა ავსებდნენ.

ბავშვები ხშირად მიჰყავდა ჩაიში, პატარა თითები აბა რას მოკრეფდნენ, მაგრამ მაინც კრეფდნენ. კალათს რომ გაავსებდნენ, დედა მჭადს და ყველს ჩამოურიგებდა, ჩრდილში დასხდებოდნენ, წყლიან დოქს მიიდგამდნენ და დიდ-დიდ ლუკმებს ყლაპავდნენ.

— რა გემრიელია! ხმელა მჭადიც გემრიელია ამ სუფთა ჰაერზე, არა დედი?

— მე რომ გავიზრდები, მარტო მოვკრეფ ჩაის, მაგრამ ერთ წუთში გავავსებ კალათს. აი, ნახე, თუ ასე არ იქნება, აი, ნახე! — ამბობდა სულ პატარა.

დედას გული ეკუმშებოდა შვილის თანაგრძნობაზე, რომლისთვისაც ხვალინდელი პურისა და ყველის შოვნა ამ კალათის გავსებაზე იყო დამოკიდებული. დედის გაცინება და ოჯახის სიხარული ყოველი კალათის დაცლასთან მატულობდა.

ბუჩქები იზრდებოდა და გოგონაც იზრდებოდა. აბა, ვინ გაასწრებსო, თითქოს შეეჯიბრნენ ერთმანეთს, პატარა ჯერ დაბლიდან ათვალიერებდა ფოთლებს, მერე თავით გაუსწორდა, შემდეგ ასცილდა. გავიდა წლები და ზემოდან დახედა...

აჰა, დაქალიშვილდი! — უთხრეს ბუჩქებმა და გოგონამ ჩუმად ჩაიცინა, ქუდი შუბლზე ჩამოიწია, ჯერ ფრთხილად გადაუსვა ხელისგული ბუჩქს ქოჩორზე, მერე თითები აათამაშა, კრეფა აღარ უჭირდა, ოჯახის მარჩენლად თვლიდა თავს, დედის კალათში მისი ლამაზი დუყებიც ირეოდა.

ჯანიკო უკაცო ოჯახს უძლვებოდა, მეზობლების, მეგობრების, სოფლის მოშველებით, ბავშვებს ასწავლიდა, ჩასაცმელ-დასახურს, საჭმელ-სასმელს არ აკლებდა.

ჯანიკო ლეკიშვილი სტახანოველი მკრეფავი, სასახელო მუშა შეიქნა. მეურნეობის დაარსების 50-ე წლისთავზე პირველებს შორის დაასახელეს და სამახსოვრო ჯილდო გადასცეს.

ქალიშვილები გზას დაადგნენ. უფროსებმა უმაღლესი განათლება მიიღეს. მესამეზე რომ დადგა ჯერი, იფიქრეს, მექანიზატორად ივარგებსო, — თამამი, მოუსვენარი და ჯანმრთელი იყო. ეს რომ დებმა უთხრეს, მან ტაში შემოჰკრა, მერე დებსა და დედას კისერზე ჩამოეკიდა, შემოტრიალდა, კარი გაალო და გაიქცა. კანტორამდე სირბილ-სირბილით მივიდა.

— გამგზავნეთ კურსებზე, ვისწავლი, ჩაის საკრეფ მანქანაზე დავჯდები და არ შეგარცხვენთ.

ათასნაირად აწონ-დაწონეს. მეურნეობაში კი არა, მთელ რაიონში არ ჰყავდათ მექანიზატორი გოგო. რამდენიმე დღე იფიქრეს, ითათბირეს და დარწმუნებულებმა, რომ ივარგებდა, მექანიზაციის ტექნიკუმში სწავლის ნება დართეს.

ასე გახდა მაგული ლეკიშვილი რაიონში პირველი მექანიზატორი.

მაგული ლამაზი ქალიშვილია. თმა მოკლედ აქვს შეჭრილი. ფერით და კანით თეთრ-კრიალა მეგრელ ქალს არა ჰგავს, მაგრამ სხვა მხრივ ვერ გამოარჩევ: ხასიათი, სიცქვიტე და საუბარი აქაური აქვს.

სიყვარულზე არ ფიქრობდა, არ უნდოდა გატყდომოდა საკუთარ თავს, რომ ქალური ოცნება ესტუმრებოდა ხოლმე, თითქოს რცხვენოდა კიდეც ამის გამომჟღავნება.

სდია დუგლას დგებუაძემ, საიდან არ მოუარა, როგორ არ დაიშაქრა ენა. გოგო კი მანამ არ დაეთანხმა, სანამ გულით არ იგრძნო მისი ერთგულება.

გაჰყვა ცოლად და მანქანაზეც ერთად დასხდნენ. ქმარი დამხმარედ დაჰყვებოდა, თუ რამ გაუფუჭდებოდა, უკირკიტებდა, კრეფაში შველოდა. სიყვარულში გაჩნდა ოთხი შვილი: ხათუნა, მადლენა, მარინე, ჯოლორია. მანქანა ერთი დღეც არ გამცდარა, სეზონზე ჩაი ყოველთვის იკრიფებოდა, მაგულიც ისე მუშაობდა ხოლმე, რომ არავინ იცოდა, ბავშვი თუ მალე გაუჩნდებოდა. ცოტა რომ წამოიზრდებოდნენ, მანქანის ყუთში სხდებოდნენ და ახალმოკრეფილ ჩაის ფოთოლში ურევდნენ ხელებს. ახლაც, ორი წლის ჯოლორია, გაიღვიძებს თუ არა, ბაგაში წასვლას მანქანის გუგუნს ამჯობინებს. ზოგჯერ დედაც უსრულებს ერთადერთ ვაჟს სურვილს, ჩააგორებს ჩაის ფოთლებთან და აყრის თავზე.

ბავშვი იცინის, იცინის, ხან წვიმა ჰგონია, ფოთლებს თავადაც იყრის ხელით თავზე და როცა ამოჰყავთ, ეს „იდილია“ ტირილით მთავრდება.

ულამაზესია მაგულის სოფელი. აქ წინათ გაუვალი ტყეები ყოფილა. ჭყონი მუხას ნიშნავს. დიდი მუხები მდგარა ერთ დროს. ახლაც არის მაშინდელი ასწლოვანი ხეები სოფლის შესასვლელში, ულამაზესია დიდი ჭყონი. სოფელი ამაყობს 636 ჰექტარი ჩაის პლანტაციით, სიმინდის ყანებით, დაფნისა და ბოსტნის ნაკვეთებით, ხეხილით, ვენახით, ფერმებით, ახალი საცხოვრებელი სახლებით, სკოლებით, ბაგა-ბაღებით, კულტურის სახლით, გზებით, ყვავილნარებით. დირექტორს მურად კვაშილავას ემადლიერებიან მეურნეობის მუშები. მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი რევაზ წულაია და მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ნუგზარ ჟვანია მუდამ ხალხთან არიან.

ორმოცდაათი წლის წინათ ტყეები გაჩეხეს და ეს ბუჩქები გააშენეს.

1932 წელს პირველად რომ ჩაი მოიკრიფა, მხოლოდ ხუთასი კილოგრამი აწონეს სასწორზე.

1980 წელს — 4 520 ტონა ჩაი მოკრიფეს.

წლეულს 4 620 ტონას გადაამეტეს მე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიეებმა, ისინი ათას ორასნი არიან. მათ ვერ გამოვაკლებთ 85 წლის ოლღა ხაშილავას, პირველ სტახანოველს, პირველ ჩაის მთესველს და მკრეფელს, ვინც ახარა ყველაზე ადრე ეს ლამაზი ბუჩქები.

— შრომამ მაცოცხლა ამდენხანს, შრომამ, — ყოველ შეხვედრაზე ეუბნება მაგულის ოლღა ბებია, — შენ ხუთი ჰექტარი გაქვს, მე კი ხუთ ბუჩქს ვითხოვ, შემიშვით ჩაიში, ხუთ ბუჩქზე მომაკრეფინეთ, ერთ მწკრივზე მომაკრეფინეთ, 40 კილოგრამს ახლაც მოვკრეფ, — იხვეწება მოხუცი და საოცრად სალი გონებით იხსენებს პირველ ხელმძღვანელებს, მათს საქმეებს, მეურნეობის წარსულს.

მეურნეობაში დღეს მექანიზატორთა შვიდი რგოლია. რგოლში თითო მანქანაა. ერთ-ერთი მერგოლური მაგული ლეკიშვილია. ძნელია სისწრაფეში მისი დაჯაბნა. შარშან პირველი ადგილი მოიპოვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში — ხუთ წუთში 195 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, მაშინ, როცა სხვებმა მხოლოდ 60 კილოგრამამდე მოკრიფეს. იმ დღეს მაგულის 120-მანეთიანი რადიოლა აჩუქეს. შარშან მეორე ადგილი დაიკავა და საათით დაასაჩუქრეს.

სისწრაფე და რაოდენობა — ასეთი ფიქრით გადის ყოველ დილას მაგული დიდი ჭყონის მინდვრებში. ხუთი ჰექტრის ბატონ-პატრონია, ბუჩქების მოვლა, დამუშავება, დიდი მოსავლის მიღება მას და მის ქმარს ავალიათ. დილის 6 საათიდან დღის 11 საათამდე 3 ტონა ჩაის მოკრეფას ასწრებს. ჰექტარზე 7 ტონა ფოთლის ნაცვლად 11 ტონას კრეფს და წლევანდელი გეგმა-ვალდებულება დიდი ხანია გადამეტებით შეასრულა.

ხშირად თავის მოკრეფილ ფოთოლს ფაბრიკამდე მიჰყოლია მაგული. დიდი ჭყონის № 2 ჩაის ფაბრიკა ფოთლის გადამუშავებას ვერ ასწრებდა. ფოთლის გორები იდგა შენობაში. დღე-ღამეში მხოლოდ 60 ტონა მუშავდებოდა. მაგული ხედავდა, როგორ ათენ-ალამებდნენ დირექტორი სოსო ხაჟუმია, მთავარი ტექნოლოგი ავთანდილ კაკულია, უფროსი ტიტესტერი სარდიონ დარსანია, ფაბრიკის ტიტესტერი კლარა დარჯანია. რეკონსტრუქციის შემდეგ უკეთესი ეჩვენა მაგულის ფაბრიკა, უფრო ფართოდ დაუნერგავთ უწყვეტი მექანიზაცია, გაუმჯობესებულია შრომის პირობები.

ხშირად შემოპარულა დილა ფაბრიკასთან ლოდინში.

წვიმაც რომ იყოს, მაინც ყველა დილას მზიანს ხედავს მაგული. ასე შემოვიდა დილა მის ბავშვობაში, მის არსებაში, როცა პირველად გახდა დიდი ჭყონელი. მთელი ცხოვრების მანძილზე ეხსომება მაშინდელი მზის ამოსვლა, ხეებს შუა ამოპარება. მაშინ თვალი ვერ გაუსწორა ბავშვმა მზეს და თითქოს მზემაც თვალი ჩაუკრა: — დილა მშვიდობისა!

დღეს კი, რომ დგება, მზე ჯერ ამოსულიც არ არის. ამოდის და სალამს თვითონ ასწრებს: დილა მშვიდობისა!

ეთერ სახვაძე

## დ ო ბ ი ლ ს

* * *

გადავაფარე ქათქათა სუფრა,
და დავაბრძანე მას ზედა უფლად
წითელი ვარდი —
ლარნაკით თხელით...
ავავსე სინი დაბრანულ თხილით,
ავავსე ჭიქა ალუბლის წვენით,
ავავსე გობი ალუჩით მწვანით,
და გამჭვირვალე ელვარე სურით
ცოლიკაურიც შემოვდგი ყვითლად...
მახობლიანი ცისფერი პური
და ნაზი მარწყვი
ნაქსოვი მზითა,
და ლურჯი ჩირიც — თახჩაში მიდევს.
ყველას მოვიტან, ჩემო დაია,
რომელი ფერი აკლია კიდევ
ამ წვიმის ნისლით სავსე აივანს?

* * *

ქარი ბრიალებს,
ბრუნავს,
ბურბურებს,
ჩვენ დაგვამუნჯა ბუბუნმა ქარის,
აძრწუნებს იგი ციცქნა გუბურებს
და ეჭინჭრებათ გუბურებს კანი...
შემოსწყობიან ჭას გარეშემო,
ვით წიწილები იმა ჭისანი,
ზეციდან სავსე მთვარე ეშვება,
დაეკიდება
ბოძს ჭიისკარის...
შენც იქვე დგახარ,
ძელურ მარანთან,
და მთვარე დიდის მოწადინებით,
მოგერკალება თავს შარავანდად,
და იხატები,
როგორც წმინდანი...

* * *

მესხეთის მიწას
ყვავილების ფრთები ესხმება,
ტურფა ყვავილთა მხარე არის
ახლა მესხეთი...
ვერსად ამ ქვეყნად
ამ ფერადებს
ვერ ნაანწყდები,
მალე ჩამოდი,
წამოიღე მწვანე კაბები;
ბაცი მწვანეც და ისე მუქიც,
როგორც ფათალო,
რომ ყვავილებმა
შენი ტანი — მწვანედ ნახატი —
ყველაზე დიდ და ულამაზეს
ფოთლად ჩათვალონ...
რომ,
რა უტურფეს პირსა შენსა
დაინახავენ,
რა განიცდიან
თვალთა შენთა ულურჯეს სხივსა,
აციაგებულს,
შორეული, სხვა სინაღვლითა,
შენ მიგიჩნიონ
მეუფედ და დედოფლად თვისად,
და გალიარონ დედაყვავილად.

* * *

გელოდებოდი და არ გამოჩნდი,
სულ ჩამოთავდა ავტობუსები,
დაღამდა,
დავალ კარ-მიდამოში
დანაღვლებული და გაბუსული.
ტყუილად ეთო ირგვლივ ხილვადი,
ყვავილოვანი ველები ნატის...
ან რად მეგონა,
რომ მოხვიდოდი
იმ გზით, —
რომლითაც ქვეყანა დადის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ გალდავაძე

# ორი მარცვალი ლობიო

მოთხრობა

სოლოლაკის ერთ ვიწრო, ბოლოგადაკეტილ ქუჩაბანდს ქვითკირის დაბლად ნაგები, დერეფნიანი სახლი გადმოსცქეროდა.

სახლში ორი ოჯახი ბინადრობდა. 1943 წელი იდგა.

ოჯახის დედამ ორი-სამი საათით ადრე გაითავისუფლა თავი სამსახურიდან. დედისერთა შვილი მოამზადა და ექიმთან წაიყვანა.

აგერ, მეათე წელში გადადგა ოთარი, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია და ლაფანივით მოშვებული. ბოლო ხანებში სიცხემაც დარია ხელი. ფერი დაეკარგა და დღენიადაგ ოფლშია განუწული...

მკურნალმა ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, წელსზევით ვააშიშვლა და მუშამბაგადაფარებულ დივანზე წამოაწვინა. ხან ზურგი გაუსინჯა, ხან — მკერდი, ხან — კისრის არე, ჩაახველებინა ჩაასუნთქა, ფონედოსკოპი ხალათის ჯიბეში ჩაიბრუნა და ჩაფიქრდა.

— რა ცა ჩამოიქცა ჩემს თავზე, ექიმო. იცოდეთ, ამის მეტი ქვეყენაზე არავინ გამაჩნია...

...ჯეელი ქმარი ივნისშივე ომში გაიწვიეს და, კარგა ხანია რაც ცნობა მიიღო, გმირულად დაეცაო...

— მთლად კარგად არ არის საქმე ქალბატონო, ჯირკვლების გადიდება აქვს თქვენს ბავშვს...

— რა წამალი ვახმარო? — აღმოხდა სასომიხდილ, გამშრალ მშობელს.

— რაც შეიძლება ხშირი და ყუათიანი კვება, — თქვა ექიმმა და შემკრთალ დედას მზერა აარიდა...

დილდილობით დედა კომოდის უჯრას გამოაღებდა, ხვითოსავით ხილაბანდში გახვეულ ორ პურის წიგნაკს გაშლიდა, მაკრატელს მოიმარჯვებდა და თითო კუპონს მოაჭრიდა, მერე კაპიკ-კაპიკად გადათვლილ ხურდა ფულთან ერთად ხელში ჩაუმუჭავდა შვილს, შარვალში ხალათს ჩაუტანებდა, საყელოს ამოუწევდა, აკოცებდა და ჩუსტების ფრატუნით ქარხანისაკენ გაემართებოდა.

ქარხანა იმხანად ყუმბარებს უმზადებდა ფრონტს.

ბიჭი ქუჩის კარს გააღებდა, მამადავითის ცინცხალი სიო ჩამოუქროლებდა, გააჟრჟოლებდა და ქვით მოკირწყლულ ქუჩაბანდში გადავიდოდა.

გადავიდოდა და თვალწინ, გამოკეტილ სახაშესთან, ტრანსპარანტი აესვეტებოდა. ტრანსპარანტზე წითელთავსაფრიანი, შუბლშეკრული, თვალმონუსხული დედაქალაქი აღმართულიყო და მთელი ხმით გაიძახოდა: „ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“.

ქუჩაბანდს გადაჭრიდა, მაღაზიაში შევიდოდა, ფეხის წვერზე წამოიწევდა და ვართუშა დეიდას ხელს გაუწვდიდა, ვართუშა დეიდა მისხალ-მისხალ აწონილ ჭვავის პურსა და თბილ ღიმილს გადმოაწოდებდა.

— გმადლობთ, ვართუშა დეიდა! — დაუბრუნებდა ფერწასული ბიჭი და ალმაცერ აღმართს აუყვებოდა.

— დაურჩი შვილო დედაშენს! — დააწევდა თმაშევერცხლილი, გალეული გამყიდველი და ამის შემდეგ სხვა ბავშვსა და ხანდაზმულს უმზადებდა უმარილო პურის ულუფასა და მარილიან ღიმილს.

წელი ნაბიჯით მიდიოდა ოთარი. ჯერ მარჯვენაში ეჭირა არსობის ლუკმა და მარცხენითა და ორთავ თვალით ეაზიზებოდა, ალამაზებდა. მერე მარცხენაში გადაიტანდა და ახლა მარჯვენათი არ აკლებდა ზრუნვასა და ლაციცს... და, ხანდახან, შინ რომ მიაღწევდა, შემოლეული პურითა და მძიმე გულით ჩაეჭიდებოდა კარის სახელურს.

საღამოხანს დაღლილი დედა შემოვიდოდა. კარადას გამოაღებდა. ცარიელ პურის სინს ცალ თვალს მოავლებდა, ლოგინში ჩაწოლილ თავზე საბანწაფარებულ შვილს მიუწვებოდა, მის გალეულ სხეულს გულში ჩაიკრავდა და აბეზარი შიმშილი, რომ დაეთრგუნა, თვალს დახუჭავდა...

ძილი კი...

ძილი კი...

აბა, სად იყო ძილი!

ერთხელ, მეზობელმა ქალმა სამსახურიდან გაბერილი ბოღჩა მოიტანა. ზიარ დერეფანში ჭილოფი გაფინა და ზედ ლობიო წამოაპირქვავა.

ეს კაფანდარა, კაკაროტი, ქერა დედაკაცი სადღაც, სამხედრო უწყების დარაჯად მუშაობდა. ნიადაგ სათვალე ეკეთა და ფარაჯაში ორმაგად გახვეული დადიოდა. სამხედრო მომარაგებაზე იმყოფებოდა და, ხანდახან, სიმწრით ნაგროვებ-ნაქუჩი არჩივს მოიტანდა სახლში... მერე, ეს პირიდან გამოცლილი ლუკმა ბაზარში გაჰქონდა და ფრონტიდან დაბრუნებულ, ჰოსპიტალში მწოლიარე ხეიბარ შვილს ხილის წვენს (სხვას ვეღარ ყლაპავდა) აშველებდა...

ლობიო დალამული იყო და გასაშრობად გაშალა.

დილით კარის მეზობელმა დედაკაცებმა ერთმანეთი მოიკითხეს. ჰოსპიტალი და ჯირკვლები ახსნეს და თავთავიანთ გზას დაადგნენ.

მარტოდმარტოდ დარჩნენ 1943 წელი, ოთარი, დერეფანი და ლობიო...

შიოდა, კუჭი ეწვოდა.

და შიგ თვალებში შესჭიტინებდა ჭილოფზე წამოყრილი, ჭიპა-მოთეთრებული ლობიო.

აუარა და ჩაუარა.

გაუარა და გამოუარა.

ოფლი ხვითქად ასკდებოდა, ფეხები ეკეცებოდა, ხელები უთრთოდა.

ჩაიმუხლა და ადგა. ადგა და ჩაიმუხლა.

ადგა და... ჯიბეში ცოტაოდენი ლობიო ეყარა!...

ოთახში შევარდა, ნავთქურა გააჩაღა, ქვაბში წყალი ჩაასხა ცეცხლზე შედგა და ლობიო ჩაყარა.

იდგა და უცდიდა.

უცდიდა და იდგა.

წყალმა ორთქლი მოიყენა, აჩუხჩუხდა, მარცვლები ააცურა ააყირავა, ლაბი მოიგდო.

სამყოფი საამო სურნელით გაივსო.

ხუფი დაახურა.

მიდგა-მოდგა, სამარილე მოიძია.

თვალი უნებლიედ კედელზე გაექცა... ნატურმორტზე სხვათა და სხვათა გვერდით ქორფა მწვანილი ბიბინებდა. ტუჩკილოები გაეპო, კედელს მზერა მოაშორა და კერძი გოხი მარილით მოამარილა.

კოვზი მოატრიალა, ამოიღო და რამდენიმე გაქნილი მარცვალი და ყვითლად გაჯერებული სითხე ამოაყოლა.

სული შეუბერა და ზიარებასავით მიიტუჩა. კარი აჭრიალდა. დედამ ფეხი შემოდგა. ბიჭს ელდა ეცა და კოვზი ხელში გაუშეშდა. შემოსწრებულს სიფრიფანა ნესტოები დაებერა.

ღრმა მოჭუტულმა თვალმა იქაურობა მოიმზირა.

— ოთარ! — ხმა იყო უცხო და ულმობელი.

— არ მომიპარავს დედი, ვიღაცამ ჯიბეში ჩამიყარა. — თავი ჩაჰკიდა ბავშვმა და კოვზზე დარჩენილი სანუკვარი სითხე კანკალით ქვაბში ჩაღვარა.

— ვაი ჩემს უბედურ თავს. ხელი როგორ წაგცდა მამაშენის შვილს?!

...მამამისი, ივანე ოქრომჭედელი, გამორჩეული ხელოსანი გახლდათ. მისი სევადით განწყობილი ქამარ-ხანჯალი მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის უპირველესი ვაჟკაცების წელს ამშვენებდა.

სიტყვა-პასუხიც მოსევადებული ჰქონდა, ყოფა-ცხოვრებაც და ოჯახ-ჯალაბიც...

ოთარი იდგა და ძიგძიგებდა.

პირი დამშეული შაშვის ბარტყივით ღიად დარჩენოდა...

ქვაბის ხუფს მაცდური რაკარუკი გაჰქონდა.

ქალი თაროზე გაცრეცილ ტილოს დასწვდა, ბავშვს გაუწოდა და კარზე ანიშნა.

ოთარმა ტილო ჩამოართვა. ცხელ ქვაბს შემოახვია და გარეთ გაიტანა.

გარეთ გაიტანა, გაიხედ-გამოიხედა და სანაგვეში გადაღვარა. ლასლასით შემობრუნდა.

დედა კედელს მიყრდნობოდა. თვალებზე ხელი აეფარებინა და ქვითქვითით ტიროდა.

ქვაბი იქვე იატაკზე დაუშვა, დედას მიეახლა, მუხლისთავებზე მოეხვია და აზლუქუნდა...

— Милая Нино! — ჩაილაპარაკა მოღიავებულ კარის ზღურბლზე მომდგარმა ფარაჯიანმა კაფანდარა, კაკაროტმა ქალმა. ხელში ლობიოთი თავმოდგმული ჯამი ეჭირა. მერე რაღაც დალანდა თუ ენიშნა. ღია თითქმის უკბილო პირზე ხელი აიფარა, წარბები მაღლა გაექცა. ჯამი მაგიდაზე ჩამოდგა. გალეული მკერდი მუჭით დაიგვემა და ცრემლმომდგარი გატრიალდა. გატრიალდა და კარი ნელ-ნელა უჩუმრად, უხმოდ გაიხურა...





# მებრძოლი სული

ქართული ტექნიკური მეცნიერების მოამაგეთა ბევრ თაობას ჰქონდა ბედნიერება პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის ლექციების მოსმენისა, მასთან პირადი ურთიერთობისა. ლექციებს ვამბობთ, თორემ ეს უფრო დამაჯერებელი ქადაგება იყო იმისა, რომ მოწინავე აზრის გზა გაგვეკვლია, პროგრესული და კეთილი დაგვემკვიდრებინა.

განსაკუთრებით სამახსოვროა ოცდაათიანი წლები, წლები მეცნიერებაში, კერძოდ ქიმიაში ძველისა და ახლის ბრძოლისა, აკადემიკოს ლევ პისარჟევსკის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბობოქრობისა და ჭიდილისა. ქ-ნ რუსუდანს უყოყმანოდ ახლის მხარე ეჭირა, ყოველ გამოსვლაში მხურვალედ ემხრობოდა ჭეშმარიტ მეცნიერთა მისწრაფებებს.

„გამოცდილება გვასწავლის, გატაცებით კი მხოლოდ პირადმა მაგალითმა შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზიტაცოს" — ეს ქ-ნ რუსუდანის საყვარელი სიტყვები იყო. მის გულს იარები აჩნდა სახელოვანი ძმის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გიორგისა და დის, — ასევე დიდი იმედის მომცემი მეცნიერის, — თამარის უდროოდ გარდაცვალების გამო, მაგრამ რუსუდანი მაინც არასოდეს გვინახავს სასოწარკვეთილი. მისმა თითქოსდა სუსტმა მხრებმა უყოყმანოდ იკისრა მოვალეობა, შეევსო მძიმე დანაკლისი, ძალა და ენერგია შეელია ჩვენი მეცნიერების აღმავლობის, ინჟინერ-ტექნოლოგთა კადრების აღზრდა-დავაჟკაცების საშვილიშვილო საქმისათვის.

მაღალკულტურული შვილები აღზარდეს ნიკო ნიკოლაძემ და ოლღა გურამიშვილმა. გიორგის, თამარსა და რუსუდანს მათ ბავშვობაშივე ჩაუნერგეს შრომის სიყვარული, დააუფლეს ენებს, გააცნეს სამშობლო მხარე და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, შეაყვარეს ტურიზმი. მათი მსოფლმხედველობის, მებრძოლი სულიკვეთების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ ჟენევაში ყოფნის დროს ნიკოლაძეების ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან. სწორედ აქ შეხვდა და მოუსმინა პირველად რუსუდანმა ვ. ი. ლენინს.

რ. ნიკოლაძემ სამოღვაწეო ასპარეზად ქიმია აირჩია. მან 1909 წელს წარმატებით დაამთავრა იასენევის (ამჟამად ლენინგრადის გერცენის სახელობის) პედაგოგიური ინსტიტუტი ფიზიკა-მათემატიკის განხრით, ხოლო მოგვიანებით (1913 წ.) — პეტერბურგის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი.

რუსუდანი პირველი ქალი იყო, რომელიც, როგორც ერუდირებული და ნიჭიერი მეცნიერი, აკადემიკოსმა ვ. იპატიევმა ასისტენტად მიიწვია. სამამულო მეცნიერების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებსაც (ნ. ვერხოვსკი, ს. ლებედევი) ახალგაზრდა მეცნიერი ნიჭიერ მკვლევარად და განათლებულ ქიმიკოსად მიაჩნდათ.

დიდი ოქტომბრის ბობოქარ დღეებში რ. ნიკოლაძეს ჰქონდა ბედნიერება შეხვედროდა და ემუშავა რევოლუციის დიდ ბელადთან ვ. ი. ლენინთან.

შემდგომში, ოჯახური მდგომარეობის გამო, რ. ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშში დაბრუნდა. ეს პირველი სოფელი იყო რუსეთის იმპერიაში, სადაც ნიკო ნიკოლაძის მეცადინეობით გიმნაზია გაიხსნა. აქ იგი ფიზიკას, ქიმიასა და მათემატიკას ასწავლიდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პროფესორმა პ. მელიქიშვილმა რ. ნიკოლაძე თბილისის უნივერსიტეტში მიიწვია ქიმიის კათედრის ასისტენტად. ახალგაზრდა მეცნიერი პარალელურად ბევრს ილვწის ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შექმნისათვის, ამუშავებს სწავლების მეთოდიკას, მონაწილეობს რუსეთის ფიზიკისა და ქიმიის პედაგოგიკისა და ქიმიის მასწავლებელთა პირველი ყრილობის მუშაობაში...

პ. მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1928 წ.) რ. ნიკოლაძეს ქიმიის კათედრის გამგის მოვალეობა დაეკისრა უნივერსიტეტსა და ახლად გახსნილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამასთანავე იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში...

რ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი მეცნიერი თანამშრომელი იყო 1928 წ. დაარსებული ქიმიის სამეცნიერო კვლევითი (ამჟამად პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის) ინსტიტუტისა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროფესორ რ. ნიკოლაძის უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას (ბოლო წლებში ამ კათედრის საპატიო გამგე იყო). მან ღირსეულად აღასრულა სახელოვანი მამისა და ძმის ანდერძი — ისინი ხომ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენში ტექნიკური განათლების მქონე კვალიფიციური კადრების აღზრდას .

პროფესორ რ. ნიკოლაძის კალამს ორმოცზე მეტი მეცნიერული, მეთოდური და ზოგადსაგანმანათლებლო ნაშრომი ეკუთვნის. ყოველ მათგანში ცოცხალი, მიმზიდველი ენით არის გაშუქებული ელექტრონული ქიმიის საკითხები, ბუნებრივი და ხელოვნური რადიაქტივობის მოვლენები, ფოტოქიმიური დაჟანგვის არსი, იზოტოპური ქიმიის პრობლემები და სხვა.

ქ-ნ რუსუდანის ნაშრომებსა და ლექციებში ყოველთვის იგრძნობოდა ავტორის აზრის სიმახვილე, საკითხის ორიგინალურად გაშუქების უნარი, ღრმა ერუდიცია...

პროფესორ რ. ნიკოლაძეს დიდი შრომა აქვს გაწეული ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დადგენაში.

მაინც საიდან ჰქონდა მხცოვან მეცნიერს ამდენი ენერგია? უთუოდ თავისი ოჯახის წევრთა მაგალითი აღაფრთოვანებდა!

ქ-ნი რუსუდანი არა თუ მეცნიერების მიმართ, საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართაც არასოდეს ყოფილა გულგრილი. ის, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, გაბედული და პრინციპიული იყო. ღირსეულის შექებისა და უღირსის გაკიცხვისათვის არასოდეს უცდიდა შესაფერისი ამინდის დადგომას, პირდაპირი და სამართლიანი გახლდათ და მისი ხასიათი ოთარაანთ ქვრივის ბუნებას მოგვაგონებდა.

ქ-ნმა რუსუდანმა უანგაროდ გასწია შრომა და ნიკოლაძეთა სახელოვანი ოჯახის შესახებ მრავალი საინტერესო და ახალი თაობებისათვის სამაგალითო მოგონება დაგვიტოვა. ღრმად მოხუცებულ ქართველ მეცნიერ მანდილოსანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია.

ასეთი იყო და რჩება ჩვენს ხსოვნაში ქ-ნი რუსუდანი — ჩვენი ისტორიის ცოცხალი მატიანე, ბევრის მომსწრე და მნახველი, ღირსეული შვილი თავისი ერისა და ეპოქისა!

**პ. ავალიანი,**
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

## ნაზი ჭედია

* * *

ცას შეერია ზვირთის ფერები,
და მეწამული თავს იკლავს ღამე,
მე კი კვლავ ცისფერ ცას ვეფერები
და ვეხვეწები: მითხარი რამე, —
იმ სიყვარულის, იმ დიდი ცეცხლის,
მე რომ უცეცხლო წვისთვის მიმეტებს,
შორით ჩამესმის სიმღერა მერცხლის
და ხვალინდელ დღის მაძლევს იმედებს.

### მოვა გაზაფხული და...

მოვა გაზაფხული, და ვიტყვი, მჯერა,
რაღაცას ახალს, უცხოს და ლამაზს,
მოვა გაზაფხული და ათას ფერად,
ააელვარებს: გელათს, ჯვარს, არმაზს,
მოვა გაზაფხული — სიცოცხლის დედა,
და ქვეყნად ყველაფერს შეუცვლის ფერს,
მოვა გაზაფხული და შენც გაბედავ,
თქვა, — რაც სიყვარულით გაწვალებს
დღეს...

### ზღვის სიმღერა

ხან წვიმა ძალით მაღელვებს,
სიმწრის სიმღერით მაღელვებს,
გრიგალის ფრთებით მაგელვებს,
ხან ვერ ვიცილებ თოლიას...
ცისფერ ცას როცა შევყურებ,
მგონია, მართლა მგონია,
სევდა-ნაღველი ამ ქვეყნად,
არასდროს არა მქონია!



ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიმონის კულტურას, რომლის წარმოებამ 1990 წლის დამლევისათვის უნდა მიაღწიოს 100 ათას ტონას ახლანდელი 1.000 ტონის ნაცვლად. იმისათვის, რომ ასეთ დონეს მივაღწიოთ, უნდა გავაშენოთ კიდევ 2.300 ჰექტარი ბაღები.

ე. ა. შევარდნაძის მოხსენებიდან საქართველოს პარტიულ სამეურნეო აქტივის კრებაზე 1979 წ. 22 ნოემბერს

# კოლხეთის ველზე

ლანჩხუთის მიწას ფეხი დავადგით თუ არა, მაშინვე ლიმონარიუმებზე დაგვიწყეს საუბარი. სამი ლიმონარიუმი ჰქონიათ: ხიდმაღალის სპეციალიზებული, ტრესტ კოლხიდმშენის მე-3 მოძრავ-მექანიზებული დამხმარე და ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა.

ხიდმაღლელები წლეულს გეგმით 5 ჰექტარზე 10.000 ცალი ლიმონის მიღებას ვარაუდობენ. გეგმის გადამეტებით შესრულების ყველა პირობაც აქვთ.

საინტერესო ცნობები მოგვცა ამ ლიმონარიუმის შექმნა-გაშენების შესახებ ძველმა ბოლშევიკმა ვიქტორ ძიმისტარიშვილმა. ვინ იფიქრებდა, თუ ამ ნასუფსარ, ნაჭაობარ ტერიტორიას — ძეძვითა და ეკლით დაფარულ ფართობებს ათი წლის წინათ სიცოცხლეს დაუბრუნებდა ადამიანი.

თავიდან სტოვრელები, ეს ლტოლვილი ხალხი ჩამოსახლდა ამ ფართობებზე. მოგეხსენებათ უცხო, უთვისტომო კაცის ბუნება, „უვარგისი“, გამოუყენებელი ფართობები მოსინჯეს, გაჩეხეს ეკალი, ძეძვი ამოძირკვეს, ბოსტანი გააშენეს და იმედი გაუმართლდათ. რაიონის ხელმძღვანელებსაც იმედი მიეცათ — თუ ბოსტანმა ივარგა, ციტრუსიც გაიხარებსო.

ბიძინა სარჯველაძე რამდენიმე წელიწადი აკვირდებოდა ამ ფართობებს, ატარებდა მეცნიერულ ცდებს. ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილებამაც („საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“) მოუსწრო. და როცა იმავე წლის 22 ნოემბერს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღნიშნული საკითხი ფართოდ და ამომწურავად გააშუქა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივან-

მა ამხ. ე. შევარდნაძემ, საქმეს წინ რაღა დაუდგებოდა!

— დაუჯერებელია, აბა რა, ამ ლიმონის ხეს რომ უყურებ! გუშინ გულმა არ მომითმინა და დავთვალე. 50 ცალი აბია. სამოცი, ასი ცალიც ბევრგან შემხვედრია. მეხალისება და ასე ვითვლი, აქა-იქ მომეტებული მსხმოიარე ძირი რომ გამოერევა. ჯერ სულ ნორჩებია! — ამბობს პატივცემული ვიქტორი და დაკოჟრილი, ნაჯაფარი ხელებით ეალერსება ამ მართლაცდა ჩვილი ბავშვივით ნაზად მოსავლელ (როგორც ამას მელიმონეები ამბობენ) და ნასათუთევ მცენარეს. საკმარისია ოდნავ ზრუნვა მოაკლო და, მაშინვე მოიწყენს, ფოთლებს ჩამოჰყრის, ჩაყვითლდება...

ლიმონი სრულ მსხმოიარობას მეშვიდე წელიწადს იწყებს. მანამდე, ძირი რომ გამსხვილდეს და ნაყოფმა არ დაჯაბნოს, ყვავილს და ნაყოფს აცლიან. აქაურ მეციტრუსეებს გულმა არ მოუთმინათ და მესამე წელსვე დაგეგმეს ეს სამუშაო. სამაგიეროდ, ფართობებში არცერთი სარეველა არ გააჭაჭანეს, 5-7-ჯერ გათოხნეს, მინერალური და ორგანული სასუქებით გაამდიდრეს ნიადაგი, თითოეულ ჰექტარზე 200 ტონა ტორფი შეზიდეს. ყოველივე ამის წყალობით სასურველი შედეგი ვადაზე ადრე მიიღეს. წლეულს ხიდმაღლელები კიდევ 45 ჰექტარ ლიმონს გააშენებენ, მე-11 ხუთწლედში სულ 290 ჰექტრის გაშენებას აპირებენ. მეურნეობის დირექტორი თენგიზ პატარაია მართლაც რომ საქმის კაცია, სიტყვას ამბობს და ასრულებს კიდეც.

ჭაობების დაშრობა ტრესტ კოლხიდმშენის მე-3 მოძრავ-მექანიზებულ კოლონას აკისრია, რომელსაც სათავეში უნარიანი, მცოდნე ახალგაზრდა სპეციალისტი ზურაბ ცინცაბაძე უდგას. ცინცაბაძის დევიზი ასეთია: „ჩვენ დავაშრობთ და ჩვენვე გავაშენებთ!“ დიახ მე-11 ხუთწლედში დააშრობს და გააშენებს თავის დაქვემდებარებულ მეურნეობაში 50 ჰექტარს. დღეს კი ამ მეურნეობას მხოლოდ 10 ჰექტარი საუკეთესოდ მოვლილი ლიმონის ბაღი აქვს.

გვიან შემოდგომაზე ლიმონარიუმები უქსოვადი ქსოვილით გადაიხურება. გამოსაზამთრებლად მოსამზადებელი ყველა სამონტაჟო სამუშაო უკვე ჩაატარეს, ზოგან დაწყებულია ულტრაიისფერი სხივების ანძების დამონტაჟებაც, შეიძლება ლიმონის გამოზამთრების ეს მეთოდი უკეთესი აღმოჩნდეს, ვიდრე გადახურვა.

ლიმონი ისეთი სუბტროპიკული კულტურაა, რომელიც ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში წელიწადში ორ სრულ მოსავალს იძლევა, მესამედ დამწიფებას კი ვერ ასწრებს და ხეზე რჩება მომავალი წლისათვის. ჩვენში ლიმონის ორი ჯიშია გავრცელებული: „მეიერი“ და „ქართული“, „მეიერი“ უფრო უხვმოსავლიანია და გამძლე ბიოლოგიური თვისებებისა, „ქართული“ უფრო არომატული და სურნელოვანია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის დირექტორმა ნოდარ გოგეშვილმა კარგად იცის ყველა წვრილმანი, რაც მის მეურნეობას შეეხება, სულ მეტრობით აქვს გამოთვლილი და გამოანგარიშებული მიწის ყოველი მტკაველი. მომავლის პერსპექტიული სამოქმედო გეგმებიც, რა თქმა უნდა, დასახული აქვს: ახლო მომავალში 100 ჰექტრის დაშრობა-განაშენიანებას ფიქრობს. იქ, სადაც სხვადასხვა ბუნებრივი ხელშემშლელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდება გადახურვა, ფეიხოას, მუშმალას, ბოსტნეულის და სხვადასხვა საკვები კულტურების გაშენებას აპირებს. ნერგიც თავად გამოჰყავს კვირტით მყნობის მეთოდით და სათადარიგო კვლებში, შეგუებულ და გამოცდილ ფართობებში აქვს ჩარგული. 80 ოჯახი ფუტკარი საგანგებოდ მოაშენეს მცენარის დამტვერვისათვის და თანაც მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს საკუთარი თაფლიც ექნებათ. მოაწყეს საკუთარი მეღორეობის ფერმა, ტბაში გამოზარდეს 500 იხვი, იწევენ უხვ ბოსტნეულს, ყველა ამ სიკეთით აქაური მუშები სარგებლობენ. მათ სადილი, ტრანსპორტი, სპეცტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინა უფასო აქვთ.

წლეულს მეურნეობაში გეგმით 10 ტონა ლიმონს მიიღებენ, 1985 წლისათვის 100 ტონის მიღებას ვარაუდობენ. ორივე ბრიგადას ქალები ხელმძღვანელობენ. პირველს — ალდონა გოგუაძე, მეორეს — ამალია საჯაია. ამალიამ დარგო და ახარა 0,5 ჰექტარი ლიმონის ბაღი. მას მხარში უდგანან ოლია გოგელია, ნატაშა ტუღუში, ეთერ კვაჭაძე და სხვები.

ლიმონარიუმის სპეციალისტებმა ყველა მოსალოდნელ სირთულეს გაართვეს თავი. ახლო-ახლო სადრენაჟე არხები დროულად გაიყვანეს. კვალიფიციური ენტომოლოგები მოვლას არ აკლებენ ლიმონის ხეებს, საკმარისია ფოთოლზე რაიმე დაავადებას მოჰკრან თვალი და, მაშინვე ყველაფერს აკეთებენ მცენარის გასაჯანსაღებლად: თავის დროზე შეაქვთ გერბიციდები, რომ სარეველამ არ დაახშობუნოს ხეები.

მალე დადგება ის დრო, როცა ზამთარზაფხულ გამოულევლად გვექნება ნარინჯის ბაღში დაკრეფილი ახალი ლიმონი.

**ნანული გუკია**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბავშვობაში ნანახი სიზმარივით

ჟურნალ
„საქართველოს ქალის“
1980-81 წწ.
კონკურსში
გამარჯვებული

ნარკვევი

წლები გადის და გარდასულ დღეთა მოგონება ფერმკრთალდება ბავშვობაში ნანახი სიზმარივით. მხოლოდ ხანდახან როდესაც აივნის მოაჯირზე დასასვენებლად დაყრდნობილი დაღლილი ქალი შელამებისას შეამჩნევს მაღალ ჭადრებზე დაბერტყილ ვარსკვლავებს, მოეჩვენება თბილისის ცასავით ლურჯი, უძირო ბილბაოს ზეცა. მხოლოდ ხანდახან, აჟრიალებულ თბილისის ქუჩებში, უცებ გაგონილი სიტყვა შეაჩერებს და გააოგნებს, მოეყურება მისი აუსკარა-ბასკური ენა, რომელიც ესოდენ ჰგავს ქართულს.

წლები გადიან და ასე ცხოვრობს მშობლიურ თბილისში ბასკი ქალი — ლოლიტა დოლორეს დომინგო მარტინესი, ყელამდე სავსე ბავშვობაში ნანახი სიზმრების მოგონებით... იგი ბილბაოში დაიბადა, ბასკეთის დედაქალაქში 1925 წელს. მაგრამ ბილბაო უფრო გვიანდელი ახსოვს, ცეცხლში გახვეული, ცისკენ მუშტშემართული, შეიარაღებული ბილბაო. ბავშვობის ფერადი სიზმრები კი პატარა ქალაქ სესტაოსაკენ აბრუნებს ხოლმე. სესტაო იქვეა ბილბაოსთან, როგორც რუსთავი — თბილისთან. რუსთავი შემთხვევით როდი გაგვახსენდა: სესტაო ესპანეთის მეტალურგიული ცენტრია. აქ დგას ვეებერთელა მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობს. ამიტომაც, ლოლიტა დოლორესის ბავშვობის მოგონებებში უპირველესად ცამდე ატყორცნილი ქარხნის მილები ამოტივტივდება ხოლმე, წითლად აბრიალებული ცეცხლოვანი ბრძმედები, ღარში დაძრული ფოლადის ლავა, შემდეგ კი მუშები, ფოლადის ალზე სახეშერუჯულნი, რკინასავით ჩამკვრივებული მკერდებით, ღონიერმკლავებიანი ბასკი მეტალურგები.

ძნელი იყო ცხოვრება. საღამოს ქარხნის კარებთან ხვდებოდა მეფოლადე მამას პატარა გოგონა. მოდიოდნენ სახლში და მთელი დღის შრომით დაქანცული მშობლები ხალისობდნენ თავიანთი თერთმეტი შვილის შემყურენი. ზეთისხილის მწვანე ხეების ქვეშ აკვნესდებოდა ბაბთიანი გიტარა — „დუ, სოლო დუ“. ირწეოდა ნაღვლიანი ესპანური მელოდიები. ცხრა ქალიშვილისა და ორი ვაჟის სიმღერები აბედნიერებდა ოჯახს.

ძნელი იყო ცხოვრება. მაშინ ესპანეთში მონარქია იყო. მშრომელები აუტანელ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. დოლორესს მართლაც სიზმრად ნანახივით ახსოვს სესტაოელი მეტალურგების მიტინგები, გაფიცულთა გაჭირვებული დღეები, მთავრობის ჯარებთან სისხლიანი შეტაკებები. ამ ბრძოლებში, ყველაზე წინ, ყველაზე პირველი მამამისი იდგა, რადგან კომუნისტები ყოველთვის პირველნი არიან ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1920 წელს ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტია ესპანეთში. დღეს ვინ არ იცის სახელები ლეგენდარული ადამიანებისა, ესპანელ კომუნისტთა ბელადებისა. მარად შემართული, ვაჟკაცური ხოზე დიასი და ზღაპრად ქცეული დოლორეს იბარური, რომელსაც მადლიერმა ესპანელმა მშრომელებმა „პასიონარია“ ანუ „ცეცხლოვანი“ შეარქვეს.

ლოლიტა დოლორესის მამა ერთერთი პირველთაგანი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. იგი აყალიბებდა პარტიულ უჯრედებს ბილბაოელ მეტალურგთა შორის, რაზმავდა მათ გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, ხოსე დიასისა და დოლორეს იბარურის სახელები იყო მათი დროშა, მათი იმედი. სწორედ იბარურის პატივსაცემად დაარქვა თავის გოგონას ესოდენ საყვარელი სახელი — დოლორესი. დღესაც სიამაყით იგონებს ხანშიშესული ლოლიტა დოლორესი თავის დიდ სეხნიას, რომელიც ერთხელ ნახა, თავისი ცხოვრების ყველაზე ძნელ წუთებში.

იმ ძველისძველი მოგონებებიდან ყველაზე ნათლად 1931 წელი ახსოვს: სესტაოელი მეტალურგები წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით გამოეფინენ ქუჩებში, ღამით. სახლში დაბრუნებულმა მამამ, ღონიერი ხელებით მაღლა ბურთივით შეათამაშა ბუთხუზა გოგონა და თქვა:

— მეფე დავამხეთ!

დედამ ცრემლი მოიწმინდა და იკითხა:

— რაო, უკვე მორჩა ბრძოლა? უკვე გავიმარჯვეთ?

მამამ ბავშვი ძირს დასვა და დინჯად უპასუხა:

— არა, ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება. რეაქციული ბურჟუაზია ასე იოლად არ დაგვითმობს.

დიახ, ესპანეთის პროლეტარიატი ემზადებოდა საბოლოო გადამწყვეტი ბრძოლისათვის. შეიქმნა სახალხო ფრონტი, კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

გამარჯვების დღეც დადგა. 1936 წელს პარლამენტის არჩევნებში სახალხო ფრონტმა გაიმარჯვა. ესპანეთი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ძალაუფლება კომუნისტებმა აიღეს ხელთ.

ფერადი სურათებივით ამოტივტივდება ხოლმე ხნიერი ქალის მოგონებებში ის შორეული დღეები, ალისფერი დროშებით მოფენილი ბილბაოს ქუჩები, აივნებზე გადმოკიდებული პასიონარიას ვეებერთელა სურათები, ქარხნის კარებთან გამართული მიტინგები, მამისა და მისი კომუნისტი ამხანაგების ცეცხლოვანი სიტყვები. რა მოკლე აღმოჩნდა ბედნიერება! მაშინ გაიგონა პირველად ფრანკოს სახელი, რომელიც საშინელ გახსენებად გაჰყვა მთელს სიცოცხლეში.

ესპანეთში ფაშისტთა კონტრრევოლუციური ამბოხება დაიწყო.

მამა იმ საღამოს მხარზე შაშხანაგადაკიდებული დაბრუნდა შინ. დაემშვიდობა აცრემლებულ ცოლ-შვილს და წავიდა. წავიდა და თან გაიყოლა უფროსი ვაჟი ფერნანდო, 18 წლისა, რომელიც, რესპუბლიკისათვის იმ ყველაზე ძნელ დღეებში კომუნისტი გახდა.

„დაჩოქილ სიცოცხლეს ფეხზე სიკვდილი გვირჩევნია!“ ეს სიტყვები გადადიოდა ბაგიდან ბაგეზე, ეს სიტყვები დროშად მიუძღოდა კომუნისტთა მეთაურობით დარაზმულ მშრომელებს, ეს სიტყვები მსხვილი, წითელი ასოებით ეწერა სესტაოს მეტალურგიული ქარხნის ალაყაფზე.

1936 წელს, მადრიდის მახლობლად, ფაშისტთა რაზმებთან პირველ შეტაკებაში გმირულად დაიღუპა ლოლიტა დოლორესის მამა, კომუნისტ რესპუბლიკელთა არმიის მებრძოლი მეთაური.

მაშინ პირველად ნახა 11 წლის გოგონამ მადრიდი. აცრემლებულმა დედამ ერთადერთი საგარეო კაბა ჩააცვა, ისა და მისი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



უფროსი და — პაკა მადრიდში წაიყვანა. ახსოვს ცეცხლმოდებული გზები, ნასახლარები, ზეთისხილის გავერანებული ბაღები. კიდევ ალკალა ახსოვს — მადრიდის უმთავრესი ქუჩა, ხელჩაკიდებულნი რომ მიჰყვებოდნენ მტირალ დედას და თვითონაც გულამომჯდარნი ქვითინებდნენ. პუერტო დელ სოლის მოედანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გაუჭირდათ გზის გაკვლევა, მაგრამ ვიღაც წამოეშველათ, ხალხს გასძახა:

— გაატარეთ, ბილბაოელი ჭირისუფლები ჩამოვიდნენ!

— ჩვენ ყველანი ჭირისუფლები ვართ, — შეეპასუხა შავხალათიანი, მაღალი მუშა, მაგრამ მაინც მოკრძალებით დაუთმეს გზა.

პუერტო დელ სოლის ცენტრში, ნეპტუნის შადრევნის მახლობლად, შემაღლებული ტრიბუნის ფერხთით, ერთურთის გვერდით იწვნენ ესპანური ფაშიზმის პირველი მსხვერპლნი. იწვნენ წყნარად თითქო ეძინათ ძნელ ბრძოლაგადახდილებს.

აქ ნახა ლოლიტა დოლორესმა უკანასკნელად თავისი მამა, მაღალი, ლამაზი, მოხდენილი მამაკაცი. თავისი ღონიერი მამა სამუდამოდ დადუმებული; ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ შამამისის მებრძოლი ამხანაგები. იფრქვეოდა ცრემლი. ისმოდა გამოსათხოვარი სიტყვები. პატარა გოგონა კი არაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა. მხოლოდ მდუმარე მამას მისჩერებოდა და იცრემლებოდა.

გამოთხოვების წუთმა დაჰკრა. სწორედ მაშინ მივიდა მტირალ გოგონასთან მაღალი, ლამაზი, ანთებულთვალებიანი ქალი. ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და უსიტყვოდ, მხურვალედ აკოცა.

ეს იყო პასიონარია, მისი დიდი სეხნია, დოლორეს იბარური.

მერე ისევ გაიჭიმა ბავშვობაში ნანახი სიზმარივით ფერმკრთალი ძნელი და გრძელი წელიწადი. ესპანეთის ღრმა და ლურჯი ზეცა, ასე ძალიან რომ უყვარდა, საშიში გახდა — იქიდან ხომ ფაშისტების ბომბებმა დაიწყეს ცვენა ბილბაოს თავზე. დედამ სესტაოს მეტალურგიულ კომბინატში დაიწყო მუშაობა. სახლში ორი ავადმყოფი გოგონა დაიტოვა მხოლოდ, დანარჩენები ბავშვთა სახლში მიაბარა. ახლა, კვირაობით თუ-ღა მოიყრიდა ოჯახი თავს. ჩუმად ჩამოსხდებოდნენ ზეთისხილის ძირას. იგონებდნენ რესპუბლიკელთა არმიაში მებრძოლ ძმებს, მამის ხსენებას ერიდებოდნენ. იგი კვლავ ცოცხალივით იდგა მათ გვერდით. და ბოლოს, 1937 წელი.

დაიწყო რესპუბლიკური ესპანეთიდან ბავშვების ევაკუაცია.

საბჭოთა ხალხმა ღვიძლი შვილებივით მიიღო ესპანელი ლტოლვილები. ოდესაში, ზღვის პირას შემართული ყველაზე ლამაზი სანატორიუმი დაუთმეს პატარებს. ცხადია გული წყდებოდათ მშობელ მიწას მოწყვეტილებს, მაგრამ ლოლიტა დოლორესისათვის ოდესის სანატორიუმში გატარებული ოთხი წელი მისი ბავშვობის ულამაზესი გახსენებაა. ცხოვრობდნენ ერთ დიდ ოჯახად შეკრულები, ხალხისა და მთავრობის ყურადღებით გარემოცულნი.

დიდხანს არ გაგრძელდა ეს ბედნიერი სიზმარი.

ომს გამოექცა ესპანეთიდან 500 ბავშვი. ომი კი, თითქოს მათთვის მოიცალაო, ფეხდაფეხ მოჰყვებოდა და დაეწია კიდეც პატარებს.

1941 წელმა შავბნელი სიზმარივით იელვა გოგონას მახსოვრობაში.

ისევ დაიწყო ევაკუაციის ძნელი და მძიმე დღეები. ბავშვებს მშრალი ულუფა დაურიგეს, ვაგონებში ჩასხეს და გაისტუმრეს შორ გზაზე, ურალისაკენ, ოდესა-ზაპოროჟიე-სარატოვი, არც ისე გრძელი გზაა თითქოს, მაგრამ ომის ცხარე დღეებში ნელა მიღოღავდა ბავშვებით დატვირთული მატარებელი. ყოველი საჰაერო თავდასხმის დროს მიკარგულ ჩიხში იმალებოდა, მოკრძალებით უთმობდა გზას ფრონტისაკენ მიმავალ ეშელონებს და ფრონტიდან მომავალ სანიტარულ ვაგონებს. ოდესიდან ექვსი გრძელი თვე გაატარეს ბავშვებმა გზაში, სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ ხვდებოდნენ და თვითონაც გაჭირვებული, ულუკმაპურო მოქალაქეები უკანასკნელ ლუკმას უნაწილებდნენ ესპანელ ლტოლვილებს.

როგორც იქნა, ჩააღწიეს სარატოვამდე. სოფელ მიხაილოვკის სკოლის პატარა შენობაში მოათავსეს ორასზე მეტი ესპანელი



ბიბლიოთეკა

ლტოლვილი. უჭირდათ, ძალიან უჭირდათ. თვითონაც არა გააჩნდათ რა სოფლელებს. რაც ჰქონდათ, ყველაფერს უნაწილებდნენ ბავშვებს. თვითონ დახნეს და დათესეს სკოლის ეზო. ჭარხალი და კარტოფილი დათესეს. ახლაც ახსოვს, მძიმე დღეების ნათელი სიზმარივით ახსოვს მოსავლის აღების პირველი დღე. ტიროდნენ და ისე ხარშავდნენ ჭარხლის თავებსა და კარტოფილებს. მერე ხუთი ბავშვი გამოჰყვეს, ოფიციალური სახელი — „სურსათის კომიტეტი“ — შეარქვეს. ლოლიტაც შეიყვანეს კომიტეტის შემადგენლობაში. ნაღვლიანად ეღიმება ჭაღარა ქალს იმ დღეების მოგონებისას. სათითაოდ გადათვალეს და დღეებზე გაანაწილეს მოსავალი. მეორე წელს მეტი დათესეს და მოსავალიც უკეთესი მიიღეს. დალხინება არ ეთქმის, მაგრამ სული კი მოითქვეს, მიხალოვკაში პატარა ბასკებმა და ესპანელებმა.

1942 წლის მიწურულს, ბავშვთა ნაწილი საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში გაგზავნეს. მათ შორის ლოლიტას უფროსი დები — პაკა და იულიაც მოხვდნენ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ორივენი თბილისის საავიაციო ქარხანაში გაანაწილეს სამუშაოდ. ჭაღარა ქალი დღესაც სათუთად ინახავს მათ წერილებს, თბილისის სილამაზითა და ქართველი ხალხის გულითადობით აღტაცებულნი რომ უგზავნიდნენ უმცროს დებს მიხალოვკაში: „თავი ბილბაოში მგონია. ქართველები საოცრად გვანან ბასკებს...“ ეს, პაკა წერს ლოლიტას, 1944 წელს. დები კითხულობდნენ პაკასა და იულიას წერილებს, ოცნებობდნენ თბილისზე, ქართველებზე; მერე ცოტა მოგვიანებით პაკამ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს. ქართველ გაბიჩვაძეს გაჰყვა ცოლად; ხუთი შვილის ბედნიერი დედაა ახლა. იულია კი... ლოლიტას თვალი ეცრემლება უფროსი დის გახსენებისას... იულია ადრე გარდაიცვალა. ბოლომდე ვეღარ გაუძლო გულმა ომიდან გამოყოლილ ტკივილებს.

ომის დამთავრებამდე მიხალოვკაში იყვნენ უმცროსი დები. 1945 წელს ოთხივემ სერპუხოვოს სამედიცინო სასწავლებელში დაიწყო სწავლა. ბასკმა დებმა თავიანთი ნათელი გზები აირჩიეს. ესტერლიამ, მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და აზერბაიჯანელ სტუდენტს გაჰყვა ცოლად. ახლა ბაქოში ცხოვრობს, ხუთი შვილის ბედნიერი დედა. ხასინტა და ნაბოლარა და, ფრანკოს რეჟიმის დამხობის შემდეგ, მშობლიურ ბასკეთს დაუბრუნდნენ.

ლოლიტა დოლორესს კი თბილისი ეძახდა. გადაჭარბებად ნუ მოგეჩვენებათ, დების წერილებიდან შეიყვარა პირველად საქართველო. მერე ფილმები, წიგნები, შემთხვევით გაცნობილი ქართველები... ურალში მუშაობდა და საქართველოზე ოცნებობდა.

ერთ საღამოს მეგობარი გოგონები შეიკრიბნენ საერთო საცხოვრებელში. ერთმა მათგანმა გაზეთი ამოიღო და წაიკითხა ვრცელი სტატია რუსთავში მეტალურგიული ქარხნის ამუშავების შესახებ. სწორედ იმ საღამოს გადაწყვიტეს წამოსულიყვნენ საქართველოში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სამუშაოდ. გადაწყვიტეს და აასრულეს კიდეც.

ასე დასრულდა ბასკი ქალიშვილის ვრცელი ოდისეა. იგი საქართველოში ჩამოვიდა. აქ, თბილისში ნახა თავისი ნამდვილი ბედნიერება. სრულიად შემთხვევით, ქუჩაში ყური მოჰკრა ესპანურ ენაზე ლაპარაკს. გამოესაუბრა და გაეცნო ხოსე სოხოს, სევილიელ კომუნისტს, რესპუბლიკური არმიის ყოფილ ოფიცერს, მეტალურგ მუშას. გაეცნო და თავისი ცხოვრებაც მას დაუკავშირა.

ორი შვილის დედაა ახლა ლოლიტა დოლორეს დომინგო მარტინესი. ქალიშვილი, თვალმშვენიერი ლოლიტა, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი ქართული ოჯახის რძალი გახდა. ვაჟი — კარლოტოსი მოსკოვში სწავლობს სამედიცინო ინსტიტუტში.

წლები გადიან და გარდასულ დღეთა მწარე მოგონება ფერმკრთალდება ბავშვობაში ნანახი სიზმარივით.

ბედნიერია თბილისელი ბასკი — ლოლიტა დოლორეს დომინგო მარტინესი.

ვახტანგ გოგოლაშვილი

# ცხოვრება გრძელდება...

ოციოდე წლის წინათ ქალთა საოლქო კომიტეტის ინიციატივით აჭარელ ქალთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მ. კუხიანიძის [illegible] ანსამბლთან ერთად ხულოს რაიონის უშორეს და ულამაზეს სოფელ დორჯომს ეწვივნენ. ეს ღონისძიება შემთხვევით არ მოეწყობილა. წინათ დორჯომში სახულიერო სასწავლებელი ყოფილა. სოფელში აქა-იქ ჯერ კიდევ იყვნენ რელიგიურად განწყობილი ფანატიკოსები, ისევ იყო ფესვგადგმული ქალისადმი ბატონკაცური დამოკიდებულება, ზოგიერთები სახეს ისევ იფარავდნენ ჩადრით. კლუბში ძირითადად ქალები შეიკრიბნენ.

მეხსიერებაში წარუშლელად დარჩა ლამარა ბოლქვაძის გამოსვლა. ის მაშინ კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და ქალთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. იშვიათად შევხვედრივარ ასეთი გატაცებითა და შთაგონებით მოლაპარაკე ქალს. სათქმელი კი მართლაც ბევრი ჰქონდა, საქართველოს ისტორია, კაცებთან ერთად, დედების გმირობის ისტორიაა. მით უფრო, რომ თურქ ასიმილატორთა სამსაუკუნოვანი ბატონობის დროს თავის კუთხეს აჭარელმა ქალმა შემოუნახა ქართული ენა, ქართული ტრადიციები, სულის სიმტკიცე და სილამაზე.

„დღეს ქვეყნის მილიონობით ქალთან ერთად ჩვენი ქალები მეცნიერებას, კულტურას ეზიარნენ, ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოვიდნენ, ცნობილი გახდნენ. შეხედეთ ფატმა კობალაძეს, ის სახალხო არტისტი გახდა, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა. აქ დარბაზში კი ზოგიერთს სახე ჩადრით დაუფარავს და თვალებს ძალად იბრმავებს“.

ლამარა მგზნებარედ ლაპარაკობდა. გულის სიღრმიდან ამოსული მისი სიტყვები მსმენელებს ჟრუანტელს გვრიდა.

ლამარა მოითხოვდა, ახლავე მოიხადეთ ჩადრები, ნუ ჰფარავთ მშვენიერ სახეებსო. ორატორის სიტყვის ხელოვნების ძალამ თავისი გაიტანა...

შემდეგ კი ფატმა კობალაძემ და მისმა და-ქალებმა ისეთი ცეკვა გააჩაღეს, რომ იფიქრებდით, საცაა ფრთებს შეისხამენო. ის ღონისძიება დორჯომელ ქალთა ცხოვრებაში გარდატეხის დასაწყისი გახდა.

დღეს დორჯომი ერთ-ერთი მოწინავე კულტურული სოფელია და, რა თქმა უნდა, სახეს ჩადრით აღარავინ იფარავს. რამდენი ასეთი საღამო, რამდენი ასეთი ღონისძიება ახსოვთ აჭარელ ქალებს! სასიხარულოა, რომ ყოველ ღონისძიებას დიდი შედეგი მოსდევს. ეს ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ქალთა საოლქო კომიტეტში შემოკრებილნი არიან ქალები, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ საერთო საქმეში.

ესენი არიან აჭარის პროფსაბჭოს მდივანი, ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გული კიკნაძე, აჭარის ასსრ სოცუზრუნველყოფის მინისტრი რენა სარიშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე ეთერ ცეცაძე, რესპუბლიკური არქივის სამმართველოს უფ-



ქ. ბათუმი. № 36 საბავშვო ბაღი
მარჯვნიდან მარცხნივ: ნაზი ნოღაიდელი, ლამარა ბოლქვაძე, ლუბა კუკულაძე, გული კიკნაძე

როსი ნაზი ნოღაიდელი, ჟურნალისტი ია ეგოროვა, ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსი იდა კარბელაშვილი, იურისტი მატისა ქაჯაია, პროფსაბჭოს მუშაკი ნინო ნიკოლაიშვილი, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მერი ახალაძე, საბჭოთა ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბეჟანიძე, სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ნათელა გათენაძე და სხვანი.

კომიტეტში აცრემლებული ქალი მოვიდა. ხელში წლინახევრის ბავშვი ეჭირა. სამიოდე წლის ბავშვი კი დედას კალთაში ჩაფრენოდა.

ლამარამ აცრემლებული დედა სკამზე დასვა და სატკივარი გამოჰკითხა. უცნობი ქალი ბ. მ. აღმოჩნდა. მეუღლის უდიერმა მოპყრობამ, შუააზიის მკაცრმა ჰავამ, უმცროსი შვილის ავადმყოფობამ აიძულა ბათუმში ქმრის ოჯახს დაბრუნებოდა, მაგრამ დედამთილმა კარი გამოუკეტა და ორი შვილის დედა ქუჩაში აღმოჩნდა.

ლამარამ და კომიტეტის სხვა წევრებმა ყველაფერი გააკეთეს დედისა და ბავშვების დასაცავად.

ქალთა კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა მარტოხელა დედების დასახმარებლად, ოჯახური დავის მოსაგვარებლად, სამუშაოზე მოსაწყობად. ყოფილა შემთხვევა, ქალთა კომიტეტისთვის კაცებსაც რომ უთხოვიათ დახმარება.

აქა-იქ არიან ცდუნებას აყოლილი დედები, რომლებიც მოლიპულ გზაზე დგანან. ასეთ ადამიანებს დიდად არც შვილების ხვედრი აწუხებთ, არც ოჯახის სიწმინდე, როცა მდგომარეობა მოითხოვს, სხვა რა გზაა, საქმეს საცდელი არ უნდა დააკლო. გზასაცდენილი იქნებ გონს მოიყვანო, ოჯახსა და საზოგადოებას დაუბრუნო.

ქალთა კომიტეტს თხოვნით მიმართა მახინჯაურის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა — დაეხმარეთ საბინაო პირობების გაუმჯობესებაში სკოლის ყოფილ პედაგოგს, ორი შვილის დედას, ჟურნალისტის ქვრივს, მძიმედ დაავადებულ ნაზი მიქაძე-მოსეშვილსო. გული კიკნაძე უმალვე გაემართა მოსეშვილების ოჯახში. აქ მძიმე მდგომარეობა დახვდა. დავრდომილი ქალი ლოგინს იყო მიჯაჭვული, ნესტიან, ბნელ ოთახში ტახტის დასადგმელი ადგილიც არ ჰქონდათ. გულიკომ მდგომარეობა გააცნო პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, საქმეში ჩარია ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი. აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ მახინჯაურის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტიურ წერილს, რომელშიც გ. კიკნაძეს მადლობას უხდიან გაწეული ღვაწლისა და მოსეშვილების ოჯახისადმი უანგარო დახმარებისათვის. ეს ერთადერთი შემთხვევა როდია.

ქალთა კომიტეტში სიგნალი შევიდა, რომ ქობულეთის ბამბეულის საქსოვ ფაბრიკაში არა აქვთ ჰიგიენის ოთახი, შხაპები, პირსაბანი, გასახდელი, არ მზადდება ცხელი კერძები, ეს მაშინ, როცა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 85 პროცენტი ქალია. გ. კიკნაძემ შეამოწმა მდგომარეობა და თვალწინ საკმაოდ მძიმე სურათი გადაეშალა. აქ ქალთა კომიტეტმა მტკიცედ აღიმაღლა ხმა, საკითხი გაიტანა აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმზე განსახილველად, შედეგები კი აცნობეს შესაბამის სამინისტროს.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა აღმოჩნდა ბათუმის ტყავ-ფეხსაცმელის ფაბრიკაში. საწარმოში, სადაც 630 ქალი მუშაობს, არ გააჩნდათ საშხაპეები, ქალთა ჰიგიენის ოთახები, კიდევ მეტი, 111 ქალი მძიმე, ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში იმყოფებოდა. 110 ქალი ღამით 24 საათზე ამთავრებდა მუშაობას. ქალთა კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ საკითხების მოგვარებას.

რა დასამალია, ქალთა შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არ არის მთის რაიონებსა და სოფლებში. ხარვეზების დასაძლევად ქალთა კომიტეტს შემოკრებილი ჰყავს აქტივი. ამას წინათ კომიტეტის თაოსნობითა და პედიატრების, გინეკოლოგების, კულინარების, ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალისტთა მონაწილეობით შეიქმნა რამოდენიმე ბრიგადა, რომლებიც ხულოსა და შუახევის რაონებში გაემგზავრა. გამოირკვა, რომ საკოლმეურნეო მინდვრებში საკმაოდ მძიმე პირობებში მუშაობდნენ მეძუძური და ფეხმძიმე ქალები, ზოგიერთი დედა არ იცავს ჰიგიენის ნორმებს, ისეთ შემთხვევასაც წააწყდნენ, რომ აკვანში ჩაკრული ბავშვი დედას კარგა ხნით უმეთვალყუროდ დაეტოვებინა და ბოსტანში გასულიყო სამუშაოდ. შემოწმების შედეგები მოხსენდა პარტიის საოლქო და რაიონულ

კომიტეტებს და დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ, გაიხსნა ათობით ბაგა-ბაღი, მასობრივად ეწყობა ლექცია-საუბრები ბავშვთა აღზრდის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე, ქალაქ ბათუმშიც კომიტეტის მცდელობით გაიხსნა სადღეღამისო და გახანგრძლივებული ბაგა-ბაღები.

ინვალიდთა სახლში, ასამდე მოხუცი და ინვალიდია, ზოგიერთი მათგანი სამამულო ომის მონაწილეც არის. ქალთა კომიტეტი აწყობს მათი დაბადების დღის აღსანიშნავ ზეიმებს, რიგდება ფასიანი საჩუქრები, ეწყობა კონცერტები, უჩვენებენ კინოსურათებს, ასეთი ღონისძიებები, ზრუნვა და სითბო მათ ახალისებს, უხანგრძლივებს სიცოცხლეს, შინაარსს მატებს ცხოვრებას.

წლეულს, სარვამარტოდ, ოთხიათასმა აქტივისტმა ქალმა ათი ათას მანეთზე მეტი შეაგროვა მშვიდობის ფონდისათვის. ასე ხდება ყოველწლიურად. ქალთა საბჭო სათუთად ინახავს ჟურნალის ნომრებს „ჩვენ მშვდოპა გვინდა“, რომლებშიც ასახულია აჭარის ქალთა საქმიანობა ქვეყნად მშვიდობის დასაცავად.

რა არის იმაზე უფრო დიდი მორალური სიამოვნება, სხვას რომ შველი, ოჯახს დანგრევას რომ გადაარჩენ, წაქცეულს ფეხზე დააყენებ. ასეთი სიკეთის კვალს ყველა ვერ დატოვებს. საამისოდ საჭიროა იყო უაღრესად ადამიანური, გულისხმიერი, ცხოვრების გამოცდილებით აღჭურვილი გვქონდეს სხვისი ტკივილის განცდის უნარი. ლამარა ბოლქვაძეს, რომელიც 25 წელზე მეტია ამ კომიტეტის შეუცვლელი თავმჯდომარეა, საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, დიდი პოპულარობა მოუპოვა გულისხმიერებამ, ადამიანის სიყვარულმა, საქმისადმი თავდადებამ. ლამარამ საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ინსტიტუტში ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია დაუნიშნეს, იყო კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი, ამჟამად კი აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეა. სახელოვანი გზაა! ლამარას ბევრი რამ აქვს თბილად მოსაგონარი. იგი მთელ თავის ენერგიას, ხელოვნებას, ქვეყნის საქმეს, ხალხის საქმეს ახმარს. საუკეთესო დედა, მეგობარი, გულისხმიერი ადამიანი. — ასე იცნობენ მას. და განა მარტო ლამარას? შინაარსიანი ბიოგრაფია აქვთ აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს რ. სარიშვილს, აჭარის პროფსაბჭოს მდივანს გ. კიკნაძეს და კომიტეტის სხვა წევრებს. ბევრ მათგანს ხალხისა და ქვეყნის სამსახურში თმაც შეევერცხლა.

მ. გორგილაძე





# უწილადებდე სიკეთეს სხვებსაც...

მერამდენე წელია, ეს ფოტოსურათი წიგნის კარადაში დევს. გოგონას მზერა იქაურობას სითბოთი ავსებს. შავი, უძირო სევდაჩამდგარი თვალები დაკარგულ კუთვნილ სითბოსა და სიყვარულს დაეძებს...

— გაიზარდა ჩემი მარინე, უკვე დიდია, მესამე კლასში გადავიდა, — ისე შენიშნავს ამ საოცარი ოჯახის დიასახლისი, გეგონებათ სანუკვარ პირმშოზე ლაპარაკობსო. ნამდვილად კი, დედა არ არის მისი, მაგრამ მშობელ დედაზე მეტი ამაგი დასდო, დედობაზე მეტი გაუწია მარინე მურადოვას, და მის უმცროს დებს, და კიდევ მრავალს...

ოთახში შინაურულად შემოდის შავტუხა გოგონა. ჩითის სარაფანა აცვია. ხელში სანიშნეჩადებული წიგნი უჭირავს.

— აი, ჩემი გოგოც!

— როგორ არის, ესმა დეიდა, ჩემი საგზურის საქმე? — კითხულობს ბავშვი.

— რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვუშოვნო, თორემ ამ პაპანაქებაში... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მასპინძელმა და ყურმილს მისწვდა.

განათლების განყოფილება და კომკავ-

შირის რაიკომი სისტემატურად აძლევენ ამ ოჯახის წევრებს საგზურებს. მარტო შარშან ათი აქაური მოზარდი გაგზავნეს ქვიშხეთის, მანგლისის, წყნეთის, კოჯრისა და სხვა პიონერთა ბანაკებში. არც წლეულს დაუკლიათ მზრუნველობა. მარინეს დებსაც მისწვდა მათი ყურადღება. ჯერ იყო და სადღეღამისო საბავშვო ბაღში მიაბარეს, მერე კი საზაფხულო აგარაკზე გააყოლეს თან.

...ეს მრავალშვილიანი — სხვისი შვილების დედა — თბილისის კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის პირველი უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ესმა კანდელაკი გახლავთ. თითქმის ორი ათეული წელია, იგი სითბოსა და სიყვარულს მონატრებულ ბავშვებს, მათს ნაადრევად დამზრალ გულებს თანაბრად უნაწილებს გრძნობებს.

— ძალზე მიყვარან. ასე ყოფილა: დედა ხომ განსაკუთრებულ მზრუნველობას ბუნებისაგან დაჩაგრული, ავადმყოფი შვილისადმი იჩენს. ისინი ცუდები არ იბადებიან, მერე, ჩვენივე — ოჯახისა და საზოგადოების უგულისყუროზით ხდებიან ასეთები — ძნელადაღსაზრდელები, — შენიშნავს მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

ესმა კანდელაკი უბანში სასურველი სტუმარია. ზეპირად იცის, რომელი ოჯახი რით სუნთქავს, ვის რა ულხინს, ვის რა უჭირს, ვის კერაში რა ტრიალებს.

მართლაც, დიდი ჯაფა გასწიეს, ვიდრე ერთხელ შემცდარ ბიჭს კობა ხ-ურს გზაზე დააყენებდნენ. ინსპექციის მუშაკებმა და თბილისის 67-ე საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა კონტროლი დაანესეს მოზარდის მიმართ. 51-ე სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორმა თამარ ცაავამ სახლმმართველობასთან არსებულ ფოტონრეში, ფეხბურთის სექციასა და სხვა კოლექტიურ თამაშობებში ჩააბა ბიჭი. კომკავშირის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი გივი ჯანჯღალაშვილი პირადად შეფობდა კობას. მისი უმცროსი ძმა ცემის პიონერთა ბანაკში გაგზავნეს, კობას კი სპორტულ ბანაკში გამგზავრების წინ რაიკომის პირველმა მდივანმა საკუთარი ხელფასით ფეხსაცმელი შეუძინა.

— როცა ცუდის ჩადენა დააპირო, ჩვენი სახეები წარმოიდგინე და სძლიე შენს თავს. — სთხოვეს აღსაზრდელს.

კომკავშირის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი გ. ჯანჯღალაშვილი ხშირად აკითხავს რაიონისა თუ უბნის ინსპექციის მუშაკებს, ეკითხება — რა უჭირთ, რა დახმარება სჭირდებათ. უკვე რამდენიმე წელია, რაიკომმა საწარმო-დაწესებულებების კომკავშირელთა ოპერატიული რაზმები მიამაგრა ინსპექციის მუშაკებს დასახმარებლად. ისინი მონაწილეობენ ინდივიდუალურ თუ საერთო პროფილაქტიკურ საქმიანობაში, რეიდების მოწყობაში, კომკავშირის რაიკომის ბიუროს სხდომებზე სისტემატურად ისმენენ ოპერატიული ჯგუფების ანგარიშს.

ინსპექციის მუშაკებს გვერდში უდგანან საქსახპროექტის ოპერატიული რაზმის (ხელმძღვანელი იოსებ გურჯალიძე ნარმოების კომკავშირის კომიტეტის მდივანი) წევრები: ინჟინრები — დიმიტრი გარუჩავა და აკაკი მინაშვილი, ინსპექტორი მალხაზ ტურძელაძე, ტექნიკოსი თემურ შლაპაშვილი. კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კომკავშირელთა ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯემალ ლეჟავა პირადადაც შეფობს არასრულწლოვან აკაკი ავეტისიანს. აკაკიმ გული აიცრუა სწავლაზე. მერე დანაშაული ჩაიდინა. ვერა და ველარ დააბრუნეს სკოლაში. მეტი გზა არ იყო — მუშაობა დაანყებინეს. კამოს სახელობის სამსხმელმექანიკური ქარხნის ადმინისტრაციამ, პროფკავშირულმა და კომკავშირის კომიტეტებმა ყოველგვარი პირობა შეუქმნეს მოზარდს გზაზე დასაყენებლად. დამრიგებლად ოსტატი რეზო ჯიშკარიანი მიუჩინეს. ახალგაზრდა ხარატს აკაკი ავეტისიანს ახლა უკვე დამჯერედ, გამგონედ, მოვალეობის პირნათლად შემსრულებლად ახასიათებენ ქარხანაში. იგი უმცროს ძმას უკვე თავად პატრონობს — მიღებულ სიკეთეს ახლა მას უწილადებს.

არასრულწლოვანთა საქმეების მუშაკებს მხარში უდგას საზოგადოება. 51-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან არსებული მართლწესრიგის საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი პეტრიაშვილი, — ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემების სადისპეტჩერო სამმართველოს უფროსი, — ყოველთვის პოულობს დროს თითოეული მოზარდის ოჯახური მდგომარეობის შესასწავლად, ყმაწვილის ბობოქარი სულის შესაცნობად. და ზომების მისაღებად.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის აღსაკვეთად ერთად იღვწიან არასრულწლოვანთა ინსპექციის, კომკავშირის რაიკომის, სკოლების, განათლების განყოფილების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

— არ ყოფილა შემთხვევა მიგვემართოს განათლების განყოფილების გამგის ევგენია გურსკაიასათვის და მას კი დახმარებაზე უარი ეთქვას. მან თავად იცის რომელ უბანში რა ხდება, — შენიშნავს ესმა კანდელაკი.

მომავალი თაობის ფიზიკურად და სულიერად აღსაზრდელად რუდუნება, ჩვენი ნათელი, ჯანსაღი ხვალინდელი დღისათვის, მერმისისათვის ზრუნვაა საჭირო, ეს კი განურჩევლად ყველას — ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების, თითოეული მოქალაქის ვალია. ხნულში ერთიანად ლონივრად მოქნეულ თესლს ყოველთვის ჰყოფნის ძალა გასაღვივებლად...

**ნათელა ქიმერიძე**

ჩვენ გ[illegible] გმ[illegible]თვის

# ინგილო ქალი

გენო ოთარაშვილი სოფელ კახის (საინგილო) რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე წევრია. წლების მანძილზე მას ათეულტონობით თამბაქო აქვს ჩაბარებული საფერმენტაციო ფაბრიკისათვის.

გენო ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმავალდებულებას და გასული ხუთწლედის გეგმაც ოთხმაგად შეასრულა: თუ წლიურად 1420 კილოგრამი თამბაქოს მოყვანა ევალებოდა, იგი 6.000-6.500 კილოგრამს აბარებდა.

ამდენი თამბაქოს მოყვანა, შეტეხვა, ანემსვა, გახმობა-დახარისხება — შეკვრა და ჩაბარება თითქოს წარმოუდგენელიც კია, მაგრამ გენო მაინც ართმევდა თავს ასეთ ძნელ საქმეს და სწორედ ეს არის მისი ყოჩაღი ქალობა! ისიც უნდა ითქვას, რომ გენოს ჩაბარებული თამბაქოს 80-90 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

გენო მტკიცე სამუშაო გეგმით მუშაობს, მან იცის რა უნდა გააკეთოს შემოდგომაზე, რა ზამთარში და რა გაზაფხულ-ზაფხულში, განაწილებული აქვს სამუშაო დღეები, მაქსიმალურად იყენებს წვიმიან, უამინდო დღეებსაც.

წლევანდელი სამეურნეო წელი გენომ საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრა. ახლა ის დაუღალავად შრომობს ახალი ზღუდეების დასალაშქრავად, საფუძველს უყრის მომავალი წლის უხვ მოსავალს.

გენო ოთარაშვილის კეთილსინდისიერი და მკლავმოუღლელი შრომა ჯეროვნად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ: იგი ოქტომბრის რევოლუციის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით არის დაჯილდოებული.

გენო სხვადასხვა თაოსნობის ინიციატორია, ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, ეხმარება ახალგაზრდობას შრომით სარბიელზე.

გენო ოთარაშვილი მარტო მოწინავე კოლმეურნე როდია, იგი საუკეთესო დიასახლისია და ხუთი შვილის აღზრდითაც ამაყობს. მისი შვილებიდან ორს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, სამს — საშუალო. ისინი კოლმეურნეობაშიც მუყაითად შრომობენ, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაშიც აქტიურად მონაწილეობენ.

**ი. ხუციშვილი**



# როგორ შევინახოთ ხილი მთელი წელიწადი

ხილის შენახვის რამდენიმე წესი არსებობს: მაცივარში შენახვა, გაშრობა (დაჩირვა), მოხარშვა და გამოწურვა. მაცივარში ხილი განსაზღვრული რაოდენობით ინახება. ამიტომ სხვა მეთოდებს უფრო მიმართავენ:

გასაშრობად განკუთვნილი ხილი აუცილებლად უნდა გაირეცხოს, ვაშლს, უმჯობესია გაეცალოს კანი და თვალბუდე. გათლილი ნაყოფი უნდა დაიჭრას 1-2 სმ სისქეზე (უფრო სქელი ნაჭრები ძნელად შრება). ვაშლის გაშრობა (დაჩირვა) შეიძლება გაუთლელადაც. დაჭრილი ვაშლი ჰაერზე იოლად იჟანგება, ამიტომ, დაჭრისთანავე ნაჭრები უნდა ჩაიყაროს 1-1,5 პროცენტიან მარილიან წყალხსნარში. ამის შემდეგ ვაშლის ნაჭრებს ჰფენენ ლასტებზე და მზეზე აშრობენ. ასევე შეიძლება დაიჩიროს მსხალიც.

გასაშრობ ქლიავს ჯერ რეცხავენ, შემდეგ ჩირავენ, აცლიან კურკას, 10-15 წამით ათავსებენ 0,5 პროცენტიან მარილიან თბილ წყალში და შემდეგ ფენენ ლასტებზე მზეზე გასაშრობად.

არსებობს ხილის შენახვის უფრო პროგრესული მეთოდი — დაკონსერვება. დაკონსერვება-სტერილება ნიშნავს ჰერმეტიულად დახუფულ ჭურჭელში პროდუქტების 100 გრადუს ტემპერატურის პირობებში დამუშავებას. ასე დაკონსერვებული ხილი შეინახება ხანგრძლივად. მაღალი ტემპერატურა სპობს ყველა მავნე მიკროორგანიზმს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ პროდუქტების გაფუჭება, ხოლო ჰერმეტულად ჭურჭლის დახუფვა გამორიცხავს ჭურჭელში ჰაერის შესვლას და მაშასადამე, მიკროორგანიზმების შეტანასაც.

ხილის დაკონსერვებისათვის იყენებენ მინის ქილებს და თუნუქის ხუფებს. კონსერვისათვის ხილი წინასწარ უნდა მოვამზადოთ: მოვაცილოთ ყუნწი, თესლბუდე (მაგ. ვაშლს, მსხალს, კომშს), გავრეცხოთ და, თუ გვსურს, დავჭრათ კიდეც. კურკოვანი ხილის დაკონსერვება კურკიანადაც შეიძლება. წინასწარი მომზადების შემდეგ ხილი უნდა ჩავალაგოთ ცხელი წყლით გარეცხილ სუფთა მინის ქილებში და გავაცხელოთ იქამდე, რამდენიც საჭიროა სტერილებისათვის. ხილით სავსე ქილებს დავახუროთ ხუფი (მხოლოდ ჯერ არ დავხუფოთ) და ჩავდგათ წყლიან ქვაბში (წყალი ქილებს ყელამდე უნდა მოადგეს), და დაბალ ცეცხლზე ნელნელ ვადუღოთ. სტერილების ვადის გასვლის შემდეგ ქილები ქვაბიდან ამოვიღოთ და სპეციალური დასახუფით დავხუფოთ. ხილისაგან დამზადებული კონსერვები გემრიელი უნდა იყოს, ამიტომ საჭიროა შაქრიანობისა და მჟავიანობის გარკვეული შეფარდების დაცვა, რასაც შაქრის სხვადასხვა რაოდენობით ვაღწევთ. მჟავე ხილის დასაკონსერვებლად იყენებენ შედარებით მაღალი კონცენტრაციის სიროფს და-პირიქით. მაგალითად, ალუბლისა და ტყემლისათვის უმჯობესია 60-65 პროცენტიანი შაქრის სიროფი, მსხლის და ქლიავისათვის კი 30-35 პროცენტიანი. როდესაც ვამბობთ სიროფი 40 პროცენტიანიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ სიროფს ვაკეთებთ 40 გრ შაქრისა და 60 გრ წყლისაგან. შაქრის სიროფის დამზადება შემდეგნაირად ხდება. არწყული წყლის რაოდენობას ჩაასხამენ ქვაბში და გააცხელებენ. გაცხელების პროცესში ჩაყრიან აწონილ შაქარს (ან ფხვნილს) და ურევენ მანამდე, სანამ შაქარი მთლიანად არ გაიხსნება, შემდეგ აადუღებენ და სიროფი მზად გახლავთ. ხილის კონსერვებიდან კომპოტი სამართლიანად ითვლება ყველაზე უკეთეს პროდუქტად. კომპოტის დამზადება თითქმის ყველა ხილისაგან შეიძლება, მაგრამ დამზადების წესი სხვადასხვა ხილისათვის ერთმანეთისაგან ცოტა თუ ბევრად მაინც განსხვავდება.

მსხლის საკომპოტედ ყველაზე უკეთესია „ბერე-ბოსკი“ და „ვილიამსი“. საკომპოტე მსხალი გადამწიფებული არ უნდა იყოს. ნაყოფი დავჭრათ სიგრძეზე, ჩავალაგოთ სუფთა მინის ქილებში და დავასხათ 30 პროცენტიანი ცხელი სიროფი (700 გრ. წყალზე 300 გრ. შაქარი). ქილებს დავახუროთ ხუფი და გავასტერილოთ. სტერილების ხანგრძლივობა ნახევარ ლიტრიან ქილებისათვის გახლავთ ადუღებიდან 20-25 წუთი, ხოლო ლიტრიანი ქილებისათვის — 30-35 წუთი. სტერილების დამთავრებისთანავე ქილები უნდა დაიხუფოს. თითქმის ასეთივე წესით მზადდება ბლის, ატმის და გარგარის კომპოტები. კომშის ნაყოფი მსხალთან შედარებით უფრო მკვრივია, ამიტომ საკომპოტედ იგი უნდა გაითალოს, სიგრძეზე დაიჭრას, გაითუთქოს და შემდეგ გასტერილდეს 10 წუთის განმავლობაში. სიროფი საჭიროა 40 პროცენტიანი.

საკომპოტე ქლიავი ქილებში ჩაწყობამდე უნდა გაითუთქოს (ე. ი. 85 გრადუსიან ცხელ წყალში გავაჩეროთ 3-5 წუთს), სტერილებისას ქლიავს ხშირად უსკდება კანი. ამიტომ ქილებში ჩაწყობამდე წვრილი ჩხირით უნდა დაიჩხვლიტოს. ქლიავისათვის საჭიროა 40 პროცენტიანი სიროფი, ტყემლისათვის 65 პროცენტიანი. ქლიავის ყველა ჯიშისათვის საჭიროა 12-15 წუთი სტერილება, ტყემლისათვის — 3-5 წუთი.

მიუხედავად იმისა, რომ კომპოტები ხილეულის საუკეთესო საკონსერვო პროდუქციაა, მათი დამზადება ყოველთვის არ არის შესაძლებელი ან მიზანშეწონილი, ამიტომ ხილიდან ხშირად ამზადებენ ისეთ პროდუქტებსაც, როგორიც არის ჯემი, ხილფაფა, წვენი და სხვა. ამ პროდუქტების დადებითი მხარე ისიც არის, რომ მათი დამზადება შეიძლება გადამწიფებული ნაყოფისაგან, რომელიც საკომპოტედ არ გამოდგება.

ჯემისა და ხილფაფის მოსამზადებლად ნაყოფი წინასწარ კარგად უნდა მოიხარშოს, სახეხზე გაიხეხოს, დაეყაროს შაქარი და მაშინვე მოიხარშოს. ვხარშოთ შესქელებამდე. ატმის, ქლიავის, ალუბლისა და ლეღვისათვის საჭიროა ყოველ ერთ კგ. ნაყოფზე ერთი კგ. შაქარი, ვაშლის, კომშის, ტყემლისა და გარგარისათვის — 1,2 კგ. შაქარი.

ხილის წვენს ამზადებენ შაქართან ერთად ხარშვით და ნაყოფიდან გამოწურვის გზით. წვენი შეიცავს შაქრებს, მჟავეებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს, არომატულ ნივთიერებებს და სხვ. ამიტომ ხილის წვენი ადამიანისათვის, კერძოდ, ბავშვებისათვის, ძვირფასი პროდუქტია. დაწნეხვის წინ ხილი უნდა გაირეცხოს და გადაირჩეს: წვენი რომ უკეთესად გამოიწუროს, ნაყოფი უნდა დავაქუცმაცოთ. დაქუცმაცებული მასა უნდა ჩავყაროთ წნეხში და თანდათანობით გამოვწუროთ. გამოწურვის შემდეგ წვენი უნდა გაიფილტროს, მიღებული წვენის ყოველ ერთ კილოგრამს 800 გრამ შაქარს დავუმატებთ, ვადუღებთ ვიდრე $^1/_3$-მდე არ დავიყვანთ. შემდეგ ცხელ-ცხელს ჩავასხამთ ბოთლებში ან მინის ქილებში და 15-20 წუთის განმავლობაში გავასტერილებთ.

ი. ბერუაშვილი,
განათლების სამინისტროს მეთოდისტი,
აგრონომი.

# მოდა



მხატვარი-მოდელიერი ია სარჯველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

*იუმორესკა*

# იდეალური ცოლი

საბრალო ცოლები! მათ ბრალად სდებენ ეჭვიანობას, შარიანობას, ნერვიულობას და ზოგჯერ სინაზის ნაკლებობასაც კი.

თქვენს წინაშეა იდეალური ცოლი. ასეთ ცოლზე ბევრი ქმარი ოცნებობს.

გამოსვლა პირველი — ქმარი სამუშაოდან დაბრუნდა.

ცოლი: — ჩემო ძვირფასო, გადი ბალჩაში, შენთვის ჰამაკი გავაბი. ალბათ ძალიან დაიღალე. ხუმრობა ხომ არ არის მაგიდასთან მთელი შვიდი საათი ჯდომა. ოღონდ ნუ მიწყენ, რომ ვერ დაგარწევ — სადილად შენს საყვარელ ღვეზელებს ვაცხობ... რაო? გაზეთის ყიდვა დაგავიწყდა? ახლავე, ჩემო მნათობო, ამწამსვე გავიქცევი კიოსკში. სადილის შემდეგ კი, ჩემო ცუგრია, კინოში წადი.

გამოსვლა მეორე — ქმარი გათენებისას მოვიდა, ღმერთმა უწყის, საიდან.

ცოლი: — რა ჭკვიანი ხარ, რომ დაბრუნდი! არა, ახსნა-განმარტება საჭირო არ არის! მე არ გეკითხები, სად იყავი, ეს შენი პირადი საქმეა. ოღონდ ნება მიბოძე, საყელოდან ეს გრძელი ქერა თმის ღერი მოგაცილო... ძალზე დაღლილი ჩანხარ. კატლეტი ხომ არ გაგიცხელო? იქნებ, სამსახურში წასვლამდე, ცოტა გამოგეძინა? მე კი ბუზებს გაგიქშევ... ძველი ჰალსტუხი რატომ გიკეთია? ახალი უნდა გაგეკეთებინა. მინდა, რომ ქალთა საზოგადოებაში ყოველთვის კოხტა და მოხდენილი ჩანდე. აბა, ახლა კი დაიძინე, დახუჭე თვალები...

გამოსვლა მესამე — ქმარი მთვრალი მოვიდა.

ცოლი: — ახ, რა კარგია ჩემი თვალის ჩინი არ დაიბნა და სახლის გზა იპოვნა! ღმერთო ჩემო, ეს ვინ შემოახია ჩემს საუნჯეს სახელოები... და ბეჭებიც ლაფით გაუთხუპნა? ხულიგნები! მოდი, გაგწმინდო. ფისუნია, შენ ისევ ფეხზე დგახარ! ჩამოჯექი მანდვე, ბალიშზე, აი ასე! ძალზე გაფითრებული ხარ და რატომღაც ასლოკინებ. გინდა კიტრის მწნილი? ან იქნებ მაწონი გირჩევნია? მოდი, გაკოცო, ჩემო გულის დარდო და ლხენავ! ეტყობა, ისევ არაყი დაგილევია. შემდეგისათვის თუ გადაკვრა მოგინდება, აუცილებლად წინასწარ შემატყობინე, კონიაკისთვის ფულს დაგიმატებ და ნაბახუსევზე თავი აღარ აგტკივდება. აგერ უკვე გასტრონომიც გაიღო, კონიაკს მოგიტან, გავრბივარ, გავრბივარ...

თარგმნა

**შ. ამირანაშვილმა.**



## დეინეკა — „ახალი საამქროების მშენებლობაზე“

საბჭოთა სახვით ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდი რუსი მხატვარი დეინეკა (1899-1969). როგორც მხატვარი და მოქალაქე ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა. მან თავისი მოღვაწეობა დაუკავშირა გამარჯვებული პროლეტარიატის საქმიანობასა და მისწრაფებებს.

მრავალმხრივია დეინეკას შემოქმედება. იგი ავტორია მრავალი მონუმენტური ნაწარმოების, თემატური სურათის, პოლიტიკური პლაკატის, ჟურნალისა და წიგნის ილუსტრაციის.

მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს შრომის თემას. ჩვენი ჟურნალი გთავაზობთ დეინეკას მონუმენტურ ტილოს „ახალი საამქროების მშენებლობაზე“, სადაც მუშა ქალების გამოსახულებაში განზოგადებულია ახალი ცხოვრების მშენებელთა სოციალური სახე.

ყდის პირველ გვერდზე — უჩა ჯაფარიძე — „შრომის ზეიმი“;
მეოთხეზე — დეინეკა — „ახალი საამქროების მშენებლობაზე“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ.მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/X 81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/X1-81 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 134.100. შეკვ. 2507. უე 00127


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სვეტიცხოველი

არქიტექტურის, ისტორიის, არქეოლოგიის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი — სვეტიცხოველი ქ. მცხეთის ცენტრში მდებარეობს.

სვეტიცხოვლის კომპლექსში შედის ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, სასახლის ნაშთები და გვიანდელი ნაგებობებიც, რომლებიც თარიღდება IV, V, XI და XVIII საუკუნეებით.

სვეტიცხოველი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიასთან, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ამიტომაც იგი ყოველთვის იზიარებდა ქვეყნის აღზევება-დიდებასაც და დაცემის ძნელბედობის ტკივილებსაც.

საქართველოში, ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისთანავე, IV საუკუნის 30-იან წლებში ააგეს ხის ეკლესია, რომელთანაც დაკავშირებულია ლეგენდა სიცოცხლის მომნიჭებელ სვეტის „სვეტიცხოვლის“ შესახებ, საიდანაც თვით ტაძრის სახელიც წარმოსდგა.

V საუკუნის დასასრულს, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, პირვანდელი ხის შენობის ნაცვლად ააგეს ბაზილიკური ტიპის ქვის ეკლესია, რომელმაც XI საუკუნემდე იარსება. ქართლის კათალიკოსის მელქისედეკის თაოსნობით 1010—1029 წლებში ხუროთმოძღვარმა არსუკიძემ ააგო სვეტიცხოვლის ახალი ტაძარი. მელქისედეკისვე ინიციატივით ტაძრის გარშემო აიგო სხვა ნაგებობებიც.

სვეტიცხოველი საუკუნეების მანძილზე მსხვილი ფეოდალური საეკლესიო სინიორია იყო, მეფე-დიდებულთაგან უხვ შეწირულობას იღებდა. იგი ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო, საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ. ტაძარს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა.

თავისი არსებობის მანძილზე ტაძარს ბევრჯერ დაემუქრა განადგურების საფრთხე. 1283 წელს იგი მიწისძვრამ დააზიანა, XIV საუკუნის ბოლოს კი ააოხრა თემურლენგის ჯარმა. მოანგრიეს დასავლეთის მკლავის ბურჯები, მაგრამ შენობის დაქცევა მაინც ვერ მოახერხეს.

მე-15 საუკუნის დასაწყისში ქართველმა მეფემ ალექსანდრე I-მა შენობა კაპიტალურად შეაკეთა. 1656 წელს როსტომ მეფის (1632—1658 წწ.) და მარიამ დედოფლის ბრძანებით გუმბათის ყელი კვლავ შეაკეთეს. XVII საუკუნეშივე კათალიკოს ამილახვრის თაოსნობით მოხატეს ტაძრის ინტერიერის ნაწილი.

1787 წელს ერეკლე II ბრძანებით სვეტიცხოვლის ტაძარს გარს შემოავლეს გალავანი, რომელშიც, ჩართულია, აგრეთვე, ძველი ზღუდის ნაწილიც.

მე-19 საუკუნეში „ჯეროვანი კეთილმშვენიერების მისაცემად“ სასულიერო მმართველობამ მოსპო ძველი სტოა და ტაძრის შიგნით შეათეთრა ფრესკების დიდი ნაწილი, მაგრამ ამ შეკეთებამ და განახლებამ ტაძრის პირვანდელი სახე მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ შეცვალა. იგი სრულად წარმოგვიდგენს მე-11 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს.

ტაძრის გეგმას საფუძვლად უდევს სწორკუთხედში ჩაწერილი ჯვარი, რომლის მკლავები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არის წაგრძელებული. მკლავების გადაკვეთის ადგილას, თავისუფლად მდგომ ოთხ ბურჯზე დამყარებულია მაღალყელიანი, თექვსმეტსარკმლიანი გუმბათი, ინტერიერში ძირითადი გრძივი ღერძის სრულად გამოვლინებისათვის სხვადასხვა მხატვრულ-არქიტექტორული ხერხია გამოყენებული.

შენობის გარე ფასადები მდიდრულად არის მორთული ჩუქურთმებით. ორნამენტული კაზმულობის ხასიათი და გამოყენების ხერხები ძირითადად დამახასიათებელია საქართველოს ხუროთმოძღვრების აყვავების ეპოქისათვის.

ჩრდილოეთის ფასადის დეკორატიული კამარის თავზე მოჩანს ხელის გამოსახულება გონიოთი. აქვე შემონახულია ტაძრის ამშენებლის — ხუროთმოძღვრის არსუკისძის წარწერა. საყურადღებოა, რომ მოძღვარს გამოუყენებია ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ეკლესიის დეკორატიული მორთულობაც.

განსაკუთრებული ყურადღება ტაძრის მეცნიერულ რესტავრაციას უკანასკნელ წლებში მიექცა, გამოვლინდა და თავდაპირვანდელი სახით აღდგენილია გალავნის კარიბჭე, კეთილმოეწყო ინტერიერი, დაცულია სასახლის ნაშთები და სხვ. ამ შესანიშნავი, ქართული ხუროთმოძღვრების საეტაპო ძეგლისადმი მნახველთა ინტერესი ყოველწლიურად იზრდება.

ირ. ზაქარიაშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა